

საქართველოს მთაბე

№ 10

ახალი წელი—ალაროდისა; ჩემო კეთილ—
ი. გრიშაშვილისა; მოხასანი და მისი „ცხოვრება“
—მ. აღ—ლისა; ამოცანა—ვაჟა-ფშაველასი; ახა-
ლი წელი, ლექსი—ნინო ოგბელიანისა; ახალი
წელიწადი საინგილოში—ზ. ელილისა; * * *
ლექსი—მარ. ბარათაშვილისა; ქართლის ვითარება
—ივ. ციციშვილისა; ლაურა—ზ. ამიკაჯიხისა;
რედაქტორის ხრიკი ილ. ელფთერიძისა.

1 იანვარი კვირეული საზოგადოებრივი, სამეც. ზ. სალიტ. ჟურნალი 1910 წ.

ახალი წელი

მას მიულოცვენ გულით ახალ წელსა, ვისაც
რაიმე პროგრესი განუხორციელებია, მას უსურვე-
ბენ ახალ წლის ნამდვილ ბედნიერებასა, ვისაც
წარსულ წელში სიმწრით ოფლი დაუღვრია, რათა
ოდნავ მაინც წინ წაწეულიყო და ოდნავ მაინც გაე-
უმჯობესებინა თავისი მდგომარეობა, განუხორციე-
ლებია უმკაცრესი იდეალი მაინც.

ჩვენ რომ გერმანელებს, ფრანგებს, ინგლისე-
ლებს, ან სხვა რომელიმე კულტურულ და მდი-
დარ ერს ვგავდეთ, ჩვენი ახალი წლის მილოცვაც
სხვანაირი იქნებოდა. იქ ადამიანთა მოქმედების
სიმძლავრე, პროგრესის განიზომება არა თუ წლე-
ბით, საათობითაც კი, იქ შემოქმედება აღდგომო-
ვანებს მთელს ერსა, და ყოველ პირველ იანვარს,
როცა წარსულ წელს გაითვალისწინებენ ხოლმე,
განსხვავებასა ჰხედავენ წარსულსა და აწმყოს შო-
რის, —ნამოქმედარსა, ნაშრომსა და ნაყოფს იხი-
ლავენ ხოლმე და მეტის მსურველნი—მომავალი
წლისათვის კიდევ უმეტეს საქმეთა განხორციელე-
ბას დააკისრებენ ხოლმე ერის შემოქმედებასა. ახა-
ლი წელი მათთვის—დასაწყისია ახალი დროის ინ-
ტერვალისა, რომლის განმავლობაშიაც პროგრესი
უნდა განხორციელოს საზოგადოებამ. ეს იმედი
გულს აქვს დასახული ყველას და მათი მილოც-
ვაც ურთი-ერთისადმი მხიარულია, მტკიცე, ბედ-
ნიერი.

ჩვენ კი რა უნდა მიულოცოთ ჩვენს ერსა?—
აი, რამდენი ხანია ვულოცავთ ახალ წელს ურ-
თი-ერთს, ყოველთვის ვსცდილობთ მხიარული ვი-
ყოთ, იმედებით აღსავსენი, მაგრამ მხოლოდ ვსცდი-
ლობთ .. ვსცდილობთ ერთ დღეს მაინც დავივიწყ-
ოთ ჩვენი სისუსტე და უბედურება, —ხოლო ამ
მხიარულებასა და იმედებს არავითარი საფუძველი
არა აქვს. ახალი წლის მილოცვა მაშინ არის ნამ-
დვილი, უტყუარი მხიარულებით აღსავსე, როცა

ძველი წლის განმავლობაში საფუძველია ჩაყრილი
ახალი წლისათვის.

რა გავაკეთეთ 1909 წლის განმავლობაში
რომ ურთი-ერთს 1910 წლის დასაწყისი მიულო-
ცოთ?—არაფერი, როგორც არაფერი გავაკეთე-
ბია უკვე კი ხანია, განსაკუთრებით რეაქციის
დროსა—ლაპარაკისა და ტირილის მეტი. ყოვე-
ლისფერს რეგრესი ეტყობა, რაც კი გვქონდა ამ
ოთხი-ხუთი წლის წინად. პრესა, თეატრი, საზო-
გადოდ ჩვენი კულტურული დაწესებულებანი, ან
საგრძობელ წარმატების გზაზედ ვერ დავაყენეთ,
ან და დაქვეითდენ. ხალხის ეკონომიური მდგომარე-
ობა, რასაკვირველია, ეხლა გაცილებით უფრო
დაბლა დგას, ვიდრე ამ ოთხი-ხუთი წლის წინად
იღგა. თვით საფრთხე ჩვენი ერის გაქრობისა, რო-
მლის უტყუარი მაჩვენებელი ტერიტორიის დაკარ-
გვაა, ეხლა უფრო საზარლად წამოგვეჭიმა თვალ-
წინ, ძალა კი თავის დასახსნელად ეხლა სრულიად
აღარ შეგვწევს და იძულებულნი ვართ საცოდავად
ვიფართხალოთ: ისეთი სუსტი საშუალებებით ვსცდი-
ლობთ განსაცდელისაგან თავის დაღწევასა რომ
შეძლებულსა და ძლიერს ერს სიცილადაც არ ეყო-
ფოდა. იდეურათაც კი საგრძობელად ვერ წავი-
წიეთ წინ. იდეია ჩვენი ერის ერთობისა შეიძლე-
ბა ეხლა იკიდებდეს ფეხს ჩვენს საზოგადოებაში და
ხალხში, მაგრამ ისე სუსტად, რომ აქაც ვერა
ჰყვავის იმედი. ჯერ კიდევ დიდი დროა სა-
ჭირო, დიდი მუშაობა, დიდი ენერჯის დახარჯვა,
რომ ქართველთა ნამდვილი და მტკიცე სულიერი
ერთობა განხორციელებული ფაქტი იყოს... ვერა,
პროგრესსა, წინა წლისა ანუ წინა წელთა ბედ-
ნიერებასა და ნაყოფიერ შრომას ვერ მიულოცავთ
საქართველოსა და წარსულის მაგალითით ვერ გა-
ვამხნევეთ მის მომავალ შემოქმედებასა. მხოლოდ
წარსულის უბედურობასა და უმოქმედობას თუ მო-
ვავიგონებთ.

1910 წელი, რასაკვირველია, ისეთი სასწა-
ულთ მომქმედი არ იქნება, რომ ერთბაშად გავვაბე-
დნიეროს და გარდავქმნას, განგვახორციელებინოს



დიდი პროგრესი და სასოწარკვეთილება ამოგვიშალოს სულიდან, მაგრამ თუ რეალური არა გვაქვს რა ხელთ, წარსულ წლებში განხორციელებული; თუ იმედის საფუძველი არა გვაქვს,—სურვილი ხომ მაინც შეგვიძლია, და ამ 1910 წლისათვის ვუსურვოთ ჩვენს ხალხს თვალის ახილვა და გამოღვიძება, ძალთა შეკრება და მოქმედება, რომ შედეგ მაინც გაიმართოს წელში და აღსდგეს განახლებული, ძლიერი, თავისუფლების მოყვარე და შემგნები ერთობისა.

სულ რომ არაფერი გვქონდეს,—სულ არაარაობას ცარიელი იდეალი მაინც სჯობია. იყოს ჩვენი უდიდესი იდეალიც უპირველეს ყოვლისა შეერთება საქართველოს გაბნეულ ნაწილთა. გიორგი მთაწმინდელი არსებულ საქართველოს არა სჯერდებოდა და იდეალურ, „ნამდვილ“ საქართველოს სხვაგან ეძებდა. მეტის მეტი სიყვარულით და ეროვნული თავმოყვარეობით მოსდიოდა ეს ამ დიდებულ მეცნიერსა და მამულისშვილსა. ჩვენ კი აქვე ვეძებოთ საქართველო, ვეძებოთ იგი ყველგან, სადაც კი ოდნავ მაინც დაჩვენილა მისი სული, ვეძებოთ იგი ლაზისტანში, ქოროხის ხეობაში, მესხეთში, მთელ სამაჰმადიანო საქართველოში, აფხაზეთში, მთელს დასავლეთ საქართველოში, გამოვეყვით და შემოვფარგლოთ ქართლი, კახეთი, ზაქათალი, ის პროვინციებიც, რომელნიც დაკარგულად მიგვაჩნია, მაგრამ არ არის საუკუნოდ დაკარგული, თუ ჩვენის მოქმედებით კვლავ ქართულს ენასა და კულტურას ფრთას შევასხამთ გუშინდელ ქართულ ადგილებში.—სივრცე, რომელიც ათასის წლობით გვეკუთვნოდა და ხმლითა გვქონდა შემოხაზული, დღეს ჩვენის იდეალით შემოვხაზოთ, ჩვენის ეროვნის შეგნებითა; ეს იყოს ჩვენი ბინა კვლავაც. რადგანაც საქართველო აქ დაბადებულა და აღზრდილა, როგორც კულტურული ერი. აქ, ამ სისხლით მორწყულ მიწაზედ ავაგოთ ახალი საქართველო,— ისეთი საქართველო, რომ გიორგი მთაწმინდელმა რომ ახალი სული ჩაიდგას და იხილოს,—ტკბილად გაიღიმოს და სთქვას: „ჩემი საქართველო ვნახე“. აქ შევქნათ ისეთი საქართველო, სადაც შეგვეძლოს ყველა ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება და ნიკთიერად გაბედნიერება ჩვენი ერისა, სადაც ქართველი ისეთივე ლამაზი და მშვენიერი ყოფილიყოს, როგორც წინათ იყო განთქმული მთელს ევროპაში, და აზიაში, სადაც სწავლა და მეცნიერება, ხელოვნება და ზნეობრივი სიღირსე უდიდეს სიტკბოების ნექტარს ასმევდეს გარეგნულად მშვენიერ ქართველსა, სადაც მეფობდეს „სიტყვა ქართული რუსთაველისა“ და არა დამტვრეული და არეული ენა, ქართულისა და უცხო ენისაგან საზიზღარ-სასმენელად შეზავებული, სადაც ქართველი დედა ეროვნულ დეგენერანტებსა და ცუდ-რუსულად მოლაქლაქე ფშუ-

ტებს“ კი არა, არამედ მაღალ-ზნეობით აღსავსე, სულით-კლდე მამულისშვილებს უზღვრდეს ჩვენს მშვენიერ ქვეყანასა...

სხვა რაღა დაგვრჩენია, მკითხველო, თუ არ ოცნება, ცალიერი იდეალი, სურვილი! სხვა რა გვაქვს სათქმელი?—განა არ ვიცით რომ სიამოვნებით ივსება გული, როცა მწერალი ანგარიშსა სწერს ყოველ ახალ წელს,—ესა და ეს შევიძინეთ ამ ერთ წელსა, ესა და ეს დავკარგეთ,—მაგრამ მაინც შეცნერილი მეტიაო,—და შემდეგ მისი სურვილები, მისი იდეალები და ფანტაზია სამშობლოს დაუსრულებელ და უსაზღვრო წარმატების შესახებ საფუძვლიანია და გნერგის აღმზნები; განა არ ვიცით, რომ ასეთ ანგარიშს რომ ვსწერდეთ, ის იქნებოდა უზენაესი ჩვენი ბედნიერება,—ბედნიერება ნამდვილი, ხეილის მოსაკიდებელი, საგრძნობი,—მაგრამ რომ ბედმა მოკვავლო ასეთი დიდი ბედნიერება, იძულებულნი ვართ მხოლოდ სურვილითა და ცალიერი იდეალით დავკმაყოფილდეთ ამ ბედნიერდღესა.

ეს იდეალი იყოს ის ბრწყინვალე ვარსკვლავი, მუდამ მოციმციმე ჩვენი ცხოვრების ცაზედ, რომელსაც ვერასოდეს ვერ მივსწვდებით, მაგრამ ჩვენის სუტის ფუსფუსის დროს გზის მაჩვენებელი მაინც იქნება. თუ ვერ მივალწევთ, გვეყვარება მაინც. ვულოცავთ ახალ წელს და ვუსურვებთ ქართველს ერს, რომ ეს ვარსკვლავი ამერიიდან გადაქცეულიყოს მისი საუკუნო სიყვარულის საგნად. „სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონიო“, სთქვა რუსთაველმა, და ჩვენც საგმირო საქმენი თუ არა, მცირე, პატარა საქმენი მაინც გავაკეთოთ, რომ ამ საუკუნო საყვარლის ერთი კოცნის ღირსნი მაინც გავხდეთ. „სიყვარული ავამაღლებსო“,—და ავამაღლდეთ ეროვნულ ერთობის შეგნებითა და გრძნობითა,—იქნებ ამის შემდეგ მაინც შევსძლოთ იგი „საქენი საგმირონი“, დღეს რომ არ ძალგვიძს.

ამ სურვილით ვეგებებით ახალ წელსა და ვულოცავთ მას მთელს საქართველოსა.

ალაროდელი.

ჩემო კეთილო!

(ვუძღვნი თანარა მიქელაძეს).

როცა მზის სხივი შეიჭრას ბნელში,
მკვდარ ყვავილს დაჰკრას, აელფეროს;
როს ამ სურათით აშიყთ მგოსანმა
ჩამოჰკრას სიმებს, დაჰკენს-დამდეროს,
მაშინ მეწვიე, ჩემო კეთილო,
გამომიწოდე მართოლვარე ხელი,
მაშინ მოგცემ გულს, და დაგრაავ ნებას
რომ მომილოცო ახალი წელი!..

ი. გრიშაშვილი.

ჩვენი ჟურნალის მომავალ №-ში დაიწყება ბეჭდვა გიუ დე მოპასანის საუკეთესო რომანისა

„ცხოვრება“.

მოპასანი და მისი „ცხოვრება“.

1880 წელს ფრანგულ ჟურნალ „Les soirées de Médan“-ში დაიბეჭდა პირველი მოთხრობა მოპასანისა „ფუნჩულა“ (Boule de suif). იშვიათად რგებია რომელიმე სხვა მწერალს ისეთი ხვედრი, როგორც ამ მოხრობის ავტორს ერგო. იმ ქვეყანაში, სადაც სახელის მოსახვეჭად საჭიროა ან გენიოსობა, ან რამდენიმე წლის განმავლობაში მდგარი მუშაობა და მუდმივი რეკლამა, მოპასანი თითქმის მეორე დღესვე განთქმულ მწერლად გადაიქცა. ხმის ამოღება, სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა და დამკვიდრება საფრანგეთის უნიჭიერეს მწერლის სახელისა ერთი იყო. მისმა სამშობლომ, მოდისა და ფაქიზ გემოვნების კლასიკურმა ქვეყანამ მაშინვე შეამჩნია თვისი ნიჭიერი შვილი და მალე იმ დროინდელ ლიტერატურულ მოდის მამამთავრად აღიარა იგი. გუშინდელი უბრალო და უჩინარი მოხელე საზღვაო სამინისტროსი დღეს თანამედროვე ბაბილონის კერპად გადაიქცა: მას ყველა იცნობს, მისი სახელი ყველას პირზე აკერია, იმის კალამს გაფაციცებით აღევნებენ თვალყურს და ყოველ მის სიტყვას ციურ მანანასავით ელიან.

27 წლისა იყო მოპასანი როცა პირველად აიღო კალამი ხელში, 33-სა როცა მისი პირველი მოთხრობა დაიბეჭდა, და 41-სა როცა უკანასკნელი სტრიქონი დასწერა. ექვს წელიწადს სწერდა და უკითხავდა იგი თავისს ნაწერს თავის „მასწავლებელს“, „მადამ ბოვარის“ ავტორს, გულჩახვეულსა და უკმეზ განდევილს, საფრანგეთის უდიდეს სტილისტს ფლობერს, რომელიც გულის ფანქაღლითა და დადის იმედით კითხულობდა თავის „შევირდის“ ნაწერებს, წაკითხვის შემდეგ არხეინად ხევდა და თანაც ნუგეშსა და დარიგებას აძლევდა: გულს ნუ გაიტეხავ, სწერე, იმუშავე, ისწავლე და როცა ღირსი იქნები, გეტყვი და დაბეჭდეო. მოპასანიც სწერდა, გულს არ იტეხავდა და არც იმედს ჰკარგავდა, ვინაიდან ღრმად სწამდა თვისი ძალა და სიტყვა თავის მასწავლებლისა. ფლობერი არ შესცდა და თავის შევირდი სამწერლო ასპარეზზე მხოლოდ მაშინ გამოუშვა როცა წაიკითხა მისი „ფუნჩულა“ — ფორმით სრული, სტილით უნაკლო და აზრით საუცხოვეო მოთხრობა. მას აქეთ მოპასანს ხელმძღვანელი აღარ დასჭირვებია, ის მტკიცედ ვაჭყვა არ-

ჩეულ გზას და ერთხელ და სამუდამოთ გარკვეულ სალიტერატურო კალაპოტიდან აღარ გამოსულა.

მოპასანი იმ დროს გამოვიდა სამწერლო მოედანზე როცა სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში თითქმის უცილობლად ბატონობდა ემილ ზოლა და მის მიერ შექმნილი ესთეთიური თეორია ექსპერიმენტალურ რომანისა, რომელსაც საფუძვლად ედო მეცნიერული ცდა, აწონ-გაზომვა მოვლენისა და პიტალო ფაქტი. ზოლამ და მისმა სკოლამ უკუაგდეს ფლობერისა და ბალზაკის რეალიზმი და ხელოვნებაში გადმოიტანეს შთამომავლობის კანონი დარვინისა, უკიდურესი ნატურალიზმი და ულტრა-რეალიზმი აღიარეს საუკეთესო ფორმად და სახელმძღვანელო პრინციპად გაიხადეს ფოტოგრაფიული მეთოდი, რომელსაც გარნა ფაქტისა და ასაწონ-გასაზომ მოვლენისა და საგნისა არა სწამდა-რა. პირველ ხანებში მოპასანიც ამ ჯგუფს მიეკედლა, მაგრამ მალე ისევ ჩამოშორდა და თავის ერთ საუკეთესო რომანის „პიერ და ჟან“-ის წინასიტყვაობაში მკაფიოდ განმარტა თვისი საესთეთიკო მრწამსი. მან უარჰყო დოქტრინალური რეალიზმი და თავის ესთეთიკის ქვაკუთხედად აღიარა ხელოვნება საკუთარ, სუბიექტიურ შთაბეჭდილების მკაფიოდ და ნათლად გადმოცემისა და გამოხატვა ყოველდღიურ და რეალურ მოვლენათა საზოგადო ჯამიდან ამოკრეფილ და შერჩეულ მასალისა. იმის აზრით შემოქმედების უმთავრესი ღირსება და საფასური იმაში მდგომარეობს, რომ ხელოვნება ხელოვნურად გადააჩიოს და აკინძოს ამბები ყოველდღიურ ცხოვრებისა და თვით ფაბულას უფრო ნაკლები ყურადღება მიაქციოს.

ის ფირფიტა, ის კუთხე ადამიანის ტვინისა სადაც იწერება და აღინიშნება ნახული, წაკითხული და გაგონილი, მოპასანს საოცრად აქვს განვითარებული, თავისებურად აქვს მოწყობილი. მისი გონება სუსტი და უძლურია განყენებულ მსჯელობის დროს და მისთიკური აღფრთოვანება მას იშვიათად ეხერხება. სამაგიეროთ იმას აქვს არაჩვეულებრივი თვალი, ყური და საოცარი თვისება დაკვირვებისა, ღვთაებრივი ნიჭი ნანახის გადარჩევისა, მოვლენათა და ამბავთა უსაზღვრო ზღვიდან საჭირო მასალის ამორჩევისა და იმის დალაგებისა, აკინძვისა, შეფარდებისა და შეწონვისა. და მოპასანიც სწორეთ ამ იშვიათმა თვისებამ გახადა უდიდეს მწერალ-პოეტად, და რენე ღუმეიკის ნათქვამიც იმაზეა გამოქრილი: ადამიანს თავი და გული კი არ გადააქცევენ პოეტად, არამედ თვალი და ყურიო. მოპასანი თავის ერთ რომანის გმირის შესახებ ამბობს: „იმას ორი მარტივი გრძნობა ჰქონდა: ნათელხილვა ფორმისა და ინსტინქტიური განჭვრეტა სარჩული-საო“. აი, სწორეთ ეს ორი „მარტივი გრძნობა“ უდევს საფუძვლად თვითონ მოპასანის შემოქმედებასაც. მისი თვალი იმასვე ხედავს რომელიმე სუ-



რათში, რასაც ხედავს თვალი ჩვეულებრივ მომაკვდავისა, მაგრამ პოეტის თვალი, ჯერ ერთი, ხედავს სულ სხვანაირად, თავისებურად, აღმაცურად (თუ შეიძლება ასე ითქვას), და, გარდა ამისა, ხედავს კიდევ ისეთ რამეს, ისეთ წვრილობას, შეუმჩნეველსა და უმნიშვნელოს, რასაც ან სულ ვერ დაინახავს, ან დაინახავს და ყურადღებას არ მიაქცევს უბრალო თვალი უბრალო ადამიანისა. მხოლოდ მეორე, როცა პოეტი ნათლად და მკაფიოდ დაგვისურათებს და დაგვანახებებს ჩვენ მიერ უნახავსა და ჩვენთვის უმნიშვნელოს, მხოლოდ მაშინ გვაგონდება ეს წვრილობანი, შეუმჩნეველი, უმნიშვნელო და მხოლოდ მაშინ ვხედავთ განსხვავებას ჩვეულებრივსა და პოეტურ თვალთა და ყურთა შორის.

დიდაქტიკოსნი და მორალისტნი ხშირად უსაყვედურებენ მოპასანს, თვითონ მოქმედების უკან იმალება და არ გვიმხელს თავის ეთიკას, თავის შეხედულებას ამა თუ იმ მოქმედებისა და ტიპის შესახებ. ერთის შეხედვით ეს საყვედური თითქო საფუძვლიანი უნდა იყოს. ძალიან ხშირათ მოპასანი ისე არხეინათ, ისეთის ღიმილითა და განდგომით გვისურათებს გულის ასამღვრევსა და პარუტყვეულ ამბავს, რომ გულუბრყვილო მკითხველს ჰგონია, ავტორს მოსწონს ეს ამბავი, ეხალისება მისი ჩვენება და უდროოთა და უადგილოთ ოხუნჯობსო. ნამდვილათ კი მოპასანი გოგოლივითა და სერვანტესივით ღიმილის უკან ცრემლსა მალავს და გულგრილ ირონიის ქურქში ოხვრა და სევდა აქვს გახვეული.

გარეგნული ფორმა მოპასანის შემოქმედების სრული და უნაკლოა. დღემდის ათასი საზომი და ფორმულა მოუგონიათ ხელოვნურ ნაწარმოების ფორმის დასაფასებლად, მაგრამ ამ ათასიდან მხოლოდ ერთი საზომია მუდმივი და სწორი: მკაფიობა, მარტივობა და ზომიერება. ეს ერთად ერთი საზომი ქეშმარიტ ხელოვნებისა ზედ გამოჭრილია მოპასანის შემოქმედებაზე, ან თუ გნებავთ, პირიქით, მოპასანის შემოქმედებაა ზედ გამოჭრილი ამ საზომზე. იშვიათად თუ ვინმეს ეხერხება ისე სხარტულად, მკაფიოდ და მარტივად აზრის გამოთქმა, სურათის დახატვა და ტიპის აღწერა, როგორც მოპასანს; იშვიათად თუ ვინმემ იცის მოპასანივით დასაწყისი და დასასრული ხელოვნურ სცენისა, ამბისა, ტიპისა: თუ საიდან უნდა დაიწყებოდეს ესა თუ ის ამბავი და სად უნდა მოეღოს მას ბოლო, სად უნდა დაესვას წერტილი. ყოველი მისი მოთხრობა მშვენიერი სურათთა გამომეტყველებით აღსავსე, კოლორიტით მდიდარი, პერსპექტივით საუცხოვო, მოძრაობით უნაკლო და ჰაერით გაჟღერებული.

გადაიკითხეთ სრული თხზულება მოპასანისა. რომელ მწერალს მოეპოვება ასეთი მდიდარი ფოკუსი ხედვისა, სადაც დიდის ხელოვნებით არის თავმოყრილი და დალაგებული უუმდიდრესი კოლე-

ქცია ტიპებისა, პეიზაჟებისა, ამბებისა. ვინ გინდათ რომ იქ არ იყოს აწერილი და აღბეჭდილი: გლეხი და მოჯამაგირე, ფერმერი და მუშა, მხედარი და ბიუროკრატი, მემამულე და ქისიანი, მოხელე და ვაჭარი, მოდისტკა და როსკიპი, ბრეტონელი და ნორმანდიელი, სოფელი და ქალაქი, — ყველას და ყველაფერს მისწვდა მისი თვალი და კალამი, ყველაფერი აღნიშნა თავის საიდუმლო ფირფიტაზე და მისცა მას შესაფერი ფორმა და კალაპოტი. ვინ შეედრება, ვინ შეეცლიება მას, ქალის გულთამხილავს, იმისსულისა და ხასიათის მესაიდუმლეს! ვის გაუცვნიან, ვის აუწერია მოპასანივით ქალის უცნაური ბუნება, ცვალებადობა იმის ხასიათისა და საიდუმლოებანი იმის გულისა! უბრალო სოფლის გომბიო, ქუჩის როსკიპი, ათასნაირ ჯურის კოკოტკა, მოლატე ცოლი, პატიოსანი დედა, „გულკეთილი“ არისტოკრატი კნენა, მოახლე, მოდისტკა — ყველა აკინძულია იმის კალამზე, ყველას მოხვდა მისი „სარჩულის გამჭვრეტი“ თვალი.

სიყვარული და ქალი დედაბოძია მოპასანის შემოქმედებისა. ის გულის კვნესითა და გაფაციცებით დაეძებს ერთსაც და მეორესაც, მაგრამ ვერ პოულობს, ან პოულობს და ტყუვდება, იმედი უტრუვდება, ფრთა ეკვეცება; გულში თანდათან დარდი ეპარება, სული მისი სევდაში ეხვევა, ჩივის, წვალობს, აღარა სწამსრა, მეგობრებს გაურბის, განდეგილობს და ბოლოს უიმედობისა და სასოწარკვეთილობის შავ ყორანს უვარდება კლანჭებში. სიყვარულზე ლოცულობდა ღმერთს სიყვარულზევე სთქვა: „სიყვარული თუ გინდა, უნდა დაბრმავდე, გონება დაიხშო, აღარაფერი დაინახო, აღარაფერი გაიგო.“ ან კიდევ: „თუ ხედავ, უნდა გაიგო კიდევ; თუ გაიგე, უნდა შეიზიზლო.“ მოპასანმაც დაინახა თავისი ღმერთი — სიყვარული, დაინახა და გაიგო, გაიგო და შეიზიზლა, შეიზიზლა და ფეხქვეშიდან გამოიკულა ერთად-ერთი და უკანასკნელი იმედი და აზრი ცხოვრებისა. მისმა თვალმა და „სარჩულის გამჭვრეტის მარტივმა გრძობამ“ დაღუპა პოეტი. მისი ნათქვამი: „რაც გიყვარს სწორეთ ის მოგიღებს ბოლოსაო,“ მისივე თავზე აღსრულდა. მას უყვარდა მხოლოდ შემოქმედება, ხოლო საამქვეყნო ცხოვრებაში მას გზას უნათებდა და იზიდავდა მხოლოდ ერთი ვარსკვლავი სიყვარულისა, ე. ი. ბედნიერებისა, ვინაიდან ეს ორი მცნება იმისთვის სინონიმია, ერთი და იგივეა. ათ წელიწადში მან დასწერა 30 ტომი (უკანასკნელი ფრანგული გამოცემა) და ესოდენ შრომის გამო მოსწყდა, მოღუნდა და მოიშალა. ამავე დროს ქრება მისი ვარსკვლავი სიყვარულისა და ბედნიერებისა. მან სუყველაფერი ნახა, გამოსცადა, იგრძნო, გაიგო და დაასკვნა: ადამიანი სუსტია, სულელია, ბრიყვია, საზიზღარია; ბედნიერება ამ ქვეყნად არ არსებობს; არის მხოლოდ ფუჭი ლტოლვილება ბედნიერებისადმი, მხოლოდ ამოება,

თავის მოტყუება, ცრუ იმედი, ყალბი ოცნება და... სიკვდილი და არარაობა. უკანასკნელ ხანებში არც ერთ მწერალს არ გამოუთქვამს მოპასანივით მძლავრათ ამოცემა ცხოვრებისა და იმასავით არავის უგრძნებია წარმამაველობა ამ ქვეყნისა და სიუფუჭე „ყოფნისა.“ მან გულიდან აღმოიფხვრა უკანასკნელი იმედი, რწმენა სიყვარულისა და ბედნიერებისა, გასწყვიტა ისედაც მიღებული ძაფი საამქვეყნო ცხოვრებისა და დაინარჩუნა მხოლოდ ერთი მრწამსი: სიკვდილი და არარაობა

ამიერიდან იგი შიშითა და კრძალვით შესცქერის სიკვდილის სურათს, რომელიც მუდმივ თვალწინ უდგა, აჩრდილივით თან დასდევს და დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევს. სწერს: „ცხოვრება მთა არის. როცა ავდივართ, მის მწვერვალს შევცქერით და ჩვენი თავი ბედნიერი გვგონია. მაგრამ როცა ზევით ავალთ, უცებ თვალწინ გადაგვემლება დაღმართი და დასასრული ჩვენი გზისა—სიკვდილი. ასვლას დიდხანს ვუნდებით, ჩამოსვლით კი ძალიან სწრაფად ჩამოვდივართ“... „მცენარე, პირუტყვი, ადამიანი, ვარსკვლავი და მთელი მსოფლიო ჯერ ცხოვრობს და ვითარდება, მერე კვდება და სხვა ნივთიერებად იქცევა, და არას დროს არც ერთი არსება,—არც მწერი, არც მცენარე და არც ადამიანი—არ დაბრუნდება“... ასეთ შავნელ ფიქრებს უკარნახებს მას სიკვდილი და იმასაც აღარაფერი ანუგეშებს: არც მეგობარი, არც მსოფლიო დიდება და პატივი, არც სიმდიდრე და სახელი, არც მეცნიერება, ხელოვნება და სიყვარული, ვინაიდან არც ერთი მათგანი არ არსებობს, ან თუ არსებობს, არ იძლევა ბედნიერებას, რომელიც მისთვის, შექსპირისა არ იყოს, „ზღაპარია, სულელის მიერ ნათქვამი.“

მოპასანი აპყვა სიკვდილის და არარაობის აჩრდილს, რომელმაც მალე დაანახვა მას უკანასკნელი საფეხური თავის ცხოვრების კიბისა. მოპასანმაც კარგათ გაიგო, რომ მას მოელოდა ჭკუიდან შემოლა, გადარევა და საგიჟეთი. იმის უკანასკნელი ტომი „ჰორლა“ (Hörle) დაწერილია იმ დროს როცა ის პირდაპირ თვალში შესცქეროდა „ჰორლას“, თავის ტანჯვის ღმერთსა და სულთამხუთავს, რომელიც დღეს ან ხვალ უეჭველათ წაართმევდა მას ადამიანის ერთადერთ საუნჯეს,—გონებას. მოპასანი გრძნობდა გადარევის აუცილებლობას და სწერდა: „ყველა, ვინც ტვინის გათხელების გამო დაიღუპა, უნაყოფოდ ცდილობდა დაენგრია იმ შენობის მატერიალური კედლები, სადაც გამომწყვდეულია ადამიანის გონება.“ ამ კადნიერებისთვის დაიღუპნენ ჰაინე, ბოდელერი, ბალზაკი, მიუსესე, გონკური და სხვა ათასი. ამ ათასს მალე მოპასანიც მიჰყვა. ნერვებმა დასტანჯეს, მოშალეს, აწამეს და ჯვარს აცვეს. მან ვედარ გაუძლო ესოდენ ტანჯვას ო 1891 წ. განიზრახა თავის მოკვლა, მაგრამ მოახლემ დროზე

მიუსწრო და გადაარჩინა. მოპასანი მაინც საამქვეყნო აღარ იყო. ის შეიშალა ჭკუიდან და 1893 წ. გარდაიცვალა საგიჟეთში.

მოპასანმა ღრმა კვალი გაავლო ფრანგულსა და უცხოეთის ლიტერატურას. ზოლა მას უდიდეს პატივსა სცემდა, ტურგენევი იმ დროს უდიდეს მწერლად სთვლიდა ტოლსტოის შემდეგ, ცნობილი კრიტიკოსი რენე ღუმეკი მას გენიოსს უწოდებს, მეორე კრიტიკოსი ლემეტრი კლასიკოსს, ტოლსტოი მას დიდათ აფასებს და ქებით იხსენიებს. თვითონ საფრანგეთში მოპასანი ერთი მხრით მაინც თავიანთ უდიდეს მწერლად მიაჩნიათ. არც ერთ ფრანგ მწერალს არა აქვს მოპასანზე უხვი ფანტაზია, მრავალფერადობა, ექსპრესია და სურათოვნება.

ბევრს მოპასანი დღესაც მარტო ნოველისტი ჰგონია, ან ფიქრობენ რომ ის უფრო ნოველისტია ვიდრე რომანისტი. ბევრის აზრით კი—და მათ შორის ტოლსტოისა, მარსელ პრევოსი და სხ.—მოპასანი, როგორც რომანისტი, გაცილებით სჭარბობს მოპასანს-ნოველისტს. ასეა თუ ისე, ექვს გარეშეა მხოლოდ ის, რომ მისი რომანი „ცხოვრება“ საუკეთესო და უმშვენიერესი ნაწარმოებია იმის კალმისა.

შინაარსით ეს რომანი მეტად უბრალო და მარტივი რამ არის. ახალგაზდა ქალი ჟანა, რომელმაც მონასტრის სკოლაში გაატარა თვისი ახალგაზდობა, თავის მშობლებს უბრუნდება სოფელში. როგორც ახალგაზდას შეეფერება, ის თავით ფეხებამდე გაჟღენთილია ათასის ოცნებით და ცხოვრებაშიაც ოცნებითა და იმედებით აღჭურვილი გამოდის.

გულუბრყვილო, გულკეთილი, ნაზი, მოკისკისე და მხიარული ჟანა აუარებელ ბედნიერებასა და საარაკო სიტკბოებას ელის ცხოვრებისგან. ცოტა ხნის შემდეგ მისმა მეზობელმა ჟანმა თვალი დაადგა მდიდარსა და ლამაზ ჟანას, დაუწყა არშიყობა, მოიგო მისი გული და შეირთო კიდევ. ცოტა ხნის შემდეგ ცოლ-ქმარი კორსიკაში მიდიან სამოგზაუროდ, მერე ისევ ბრუნდებიან, მეზობლებთან დადიან, დასეირნობენ და თითქო უდარდოთ ცხოვრობენ. ნამდვილად კი ჟანას ქორწილის მეორე დღესვე დაეცა პირველი მეზი და გაუცრუვდა პირველი იმედი. მისი ქმარი გამოდგა მოუხეშავი, მოუქნელი, ბრიყვი, ძუნწი და ეგოისტი. ჟანამ დაინახა, რომ გუშინდელი სიყვარული, აღერსი და ტკბილი სიტყვა პირველ ღამესვე გაქრა და გაიფანტა. ჟანმა შეისრულა გულის წადილი და უცებ გამოიცვალა. შემდეგშიაც იგი თავის ცოლს ისე ექცევა როგორც თავის საკუთრებას, როგორც უბრალო ნივთს. ის იმისთვის საჭიროა როგორც დედაკაცი და როგორც ქისა, რომელიც მას მეორე დღიდანვე თავის საკუთრებად მიაჩნია. რამდენიმე ხნის შემდეგ ქმარი ლალატობს თავის ცოლს, რო-

მელსაც თავისავე სახლში თავის მოახლეზე სცვლის. შემდეგში აღმოჩნდება, რომ ის მაშინაც ღალატობდა ჟანას, როცა ისინი ჯერ კიდევ დანიშნულები იყვნენ, და ისევ იმ ქალთან, ისევ ჟანას სახლში, ისევ იმის გვერდით. ჟანა ლამის გადაიროს. შუალამისას, შუა ზამთარში იგი პერანგის ამარა გავარდება გარეთ და მირბის უგზო-უკვლოდ. დიდი წამება და ჯოჯოხეთი გამოიარა, კინალამ წუთისოფელს გამოესალმა, მაგრამ ბოლოს ისევ დაივიწყა ყველაფერი და შეურიგდა თავის ქმარს. ის მაინც არ სცხრება. მალე ერთი მეზობლის ცოლი ამოიჩემა, დაუკავშირდა და მოკლულ იქმნა თავის ახალ საყვარლის ქმრის მიერ.

ჟანას დედა აღრევე მოუკვდა. მალე მამაც თან გადაჰყვა და ჟანა მარტო-მარტო დარჩა, უპატრონო, ობოლი, ეული და ყველასგან დავიწყებული. ამ ქვეყნად მას დარჩა მარტო ერთი ნუგეში, ერთი იმედი, ერთი შვილი. ჟანა მისთვის ცხოვრობს, იმაზე ლოცულობს, იმაზე ამოსდის მზე და მთვარე და მხოლოდ იმას უძღვნის თავის ობოლ ცხოვრებას და უკანასკნელ იმედს. მაგრამ ბედმა აქაც უმტყუნა. შვილი გაექცა, გაულოთდა, დაიკარგა და მხოლოდ მაშინ იგონებს თავის დედას, როცა ფული სჭირდება თავის საყვარლებისთვის. დედაც ყველაფერს აგირავებს, ჰყიდის, აგროვებს და უკანასკნელ გროშებს უგზავნის. არაფერს აყვედრებს, არ სწყევლის და მხოლოდ იმას ეხვეწება და ემუდარება, რომ აღიროს მას თავის ნახვა, ერთხელ მაინც ამოვიდეს, დაენახოს და ისევ თავის გზას გაუდგეს. მაგრამ ამაოთ: შვილი ჰპირდება, ისევ ფულებს თხოულობს, ისევ ხარჯავს და ისევ ალოდინებს თავის დედას. ჟანა გაკოტრდა, თავის მამულ-დედული გაჰყიდა და ერთ პაწაწა სახლში დაბინავდა. დღეს დღე მისდევს, ღამეს ღამე, კვირას კვირა, წელიწადს წელიწადი და მისი შვილი კი არსადა სჩანს. ჟანა დილიდან საღამომდე სახლის წინა ზის და შვილის მომლოდინე შორი გზას გასცქერის. ბოლოს თვითონვე ჩადის პარიზში, მაგრამ შვილი ემალება. ხელცარიელი, გულ დაკოდილი და იმედ დაკარგული დედა ისევ სოფელში ბრუნდება და პარიზში გზავნის თავის მოხუც მოახლეს შვილის-შვილის ამოსაყვანად, რომელსაც დაკარგული და თავზე ხელაღებული შვილი გასაზღვლად უგზავნის თავის დედას. მოახლეს პატარა ბავშვი მოჰყავს და ჟანაც სიხარულით ეგებება მას. ასე თავდება რომანი.


შეუძლებელია ადამიანმა ბოლომდე ჩაიკითხოს ეს საშინელი ამბავი და გული არ აუტოკდეს, თვალზე ცრემლი არ მოერიოს და არ იკითხოს: ნუ თუ მართლა ეს არის ცხოვრება? მოპასანის აზრით ასეთი განსაზღვრება. ათასიანი ოცნება და იმედი ახალგაზდობაში, მერე პირველი ნაბიჯი, პირველი იმედის ვაცრუება, ლანდი სიყვარულისა,

ღალატი, უმადური შვილი და ბოლოს დანგრეული ოჯახი და გაციებული კერა, — განა ეს ჩვეულებრივი ამბავი და ყოველდღიური მოვლენა არ არის! თუ ეს სურათი მართალია, მაშ უკმი ყოფილა ჩვენი თავის მტვრევა ბედნიერების ძებნის გამო და ყალბი ყოფილა ოჯახიც, სიყვარულიც და იმედიც, ხოლო ცხოვრებაში აღარა დარჩენილა რა გარნა სისასტიკისა, იმედის ვაცრუებისა და მუდმივ სიცრუისა. მოპასანს თვითონვე შეეშინდა ასეთი პასუხისა და მოახლის პირით აღიარა: „ცხოვრება არც ისეთი კარგია და არც ისეთი ცუდი როგორც გვგონია ხოლმე.“

ამ რომანში მკაფიოდ და ნათლად გამოიხატა ოსტატობა და ხელოვანება მოპასანისა. მოიგონეთ მისი აზრი ფაბულის შესახებ. ამ რომანში ფაბულა მეტად უბრალო და მარტივია, მაგრამ ავტორის უდიდესი ნიჭიც სწორედ იმაში გამოიხატა, რომ უბრალო და მარტივი ამბავი, რომელსაც ჩვენ ძალიან ხშირათ ვხედავთ და თითქმის არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ, მადლიანმა ნიჭმა ჩვენ თვალწინ უდიდეს ტრაგედიად გადააქცია, გააცოცხლა, ტანი შეასხა და დაგვანახვა, რომ ჩვეულებრივსა და უბრალო მოვლენაში ძალიან ხშირათ დიდი დრამა და სულიერი ტანჯვა იმალება. შექსპირის ტრაგედია რომ ისე ხელოვნურად არ იყოს დაწერილი, მაინც ტრაგედიაა თავის შინაარსით, თავის ფაბულით, მოპასანის უბრალო ამბავი კი მხოლოდ მოპასანის ხელში გარდაიქცა უდიდეს დრამად, მხოლოდ მან აღმოაჩინა შიგ დრამატიული ელემენტი და თითქმის არარაობისგან შექმნა სევდიანი სურათი სევდიან ცხოვრებისა.

მოისმინეთ ტოლსტოის აზრი ამ რომანის შესახებ. „ცხოვრება“ — სწერს უდიდესი მწერალი, — მშვენიერი რომანია, საუკეთესო რომანია მარტო მოპასანის რომანთა შორის კი არა, არამედ მთელ ფრანგულ რომანთა შორისაც კი (გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ჰიუგოს რომანი *Les misérables*). ამ რომანში შეერთებულია სამი უმთავრესი ელემენტი კემზარიტ-ხელოვნურ ნაწარმოებისა: 1) ზნეობრივი განწყობილება ავტორისა საგნისადმი, 2) მკაფიო აღწერა, ანუ მშვენიერი ფორმა, — რაიც ერთი და იგივეა და 3) გულწრფელი გრძნობა, ე. ი. გრძნობა სიყვარულისა ანუ სიძულვილისა აწერილ პირებისადმი. ამ რომანის ფორმა ისეთის ხელოვნებით არის შექმნილი, რომ ჩემის აზრით დღემდე საფრანგეთის არც ერთ მწერალ-პროზაიკოსს არ მიუღწევია ამ ხარისხამდე“.

მ. ად - ლი.



ახალი წელი.

მოდის კიდევ ის სტუმარი,
 ახალ წელს რომ ეძახიან,
 ჩვენ მივიღოთ აღტაცებით
 მივეგებნოთ დიან-ძიან!...

თუ მოგვტანს ახალს იმედს,
 რაიც ჩვენს გულს ენატრება?!
 სიხარული, სიყვარული,
 სიმდიდრე და განათლება?!
 დიდის, მცირის განურჩევლად,
 აღდგინება, აყვავება,
 საკეთილოდ გარდაიქმნეს
 ურთი-ერთთან შეთვისება!...

მაშინ ერთად, მოსწავლენო,
 ვაშა უთხრათ, მიუღცოთ;
 მისი მოსვლის გზა და კვალი
 საუკუნოდ ერთად, ვლოცოთ!!

ჩვენი მტერნი, გულის მკვლელნი,
 დაჰკმოს, სჩანთქას, ჩააქვას;
 ჩვენზედ მტრულად მომავალი—
 აოტოს — გაათაოს!!

მაშ გილოცავთ, განატარეთ
 ურიცხვ წელნი, ჟამიერი—
 შემოვძახოთ, უგალობოთ
 ერთხმად მრავალ ჟამიერი!!

ნინო ორბელიანი.



ა მ ო ც ა ნ ა

დადის ცხვარივით უმანკოდ
 კაცთ-მოყვარულის ქურქითა,
 თავიც კი მოსწონ რომ სული
 მან გააბრწყინა შუქითა
 ქართველი ერის... აგვიკლო
 უსაზღვრო ბაქი ბუქითა.
 მოღალატობა დასწყევლა,
 ვით ქრისტიანმა იულა,
 ზნეობის მქადაგებელმა
 ვნახეთ თავადაც იმრულა..
 ვნახავთ კიდევაც გვიწერდეს
 ზნეობრივს კანონს რიხითა,—
 სიმართლის სადღევრძელოდა
 ნუნუას ჰსვამდეს ჭიქითა.
 სწორი ყოფილა ნათქვამი
 ქართველი ერის პირითა:
 „გველი ქრელია გარეთა,—
 აღამიანი შიგნითა“.

ვაჟა ფშაველა.

ახალი წელიწადი საინგილოში.


მრავალ მხრივ საინტერესოა ინგილოთა ცხოვრება. საქართველოს სხეულს მოწყვეტილნი დიდხანს სპარსთა და ოსმალოთა გავლენის ქვეშ იყვნენ, მაგრამ ამ გავლენამ, ამ ძალდატანებითი აღმოფხვრამ ყოველივე ეროვნულისა თავისი ძალ-ღონე ტყუილად დახარჯა და საწადელს ვერ მიაღწია. დღესაც ბევრს შეხვდებით საინგილოში ეროვნულს ჩვეულებასა და ადათს, რომელნიც მეზობელ ერთა ჩვეულებათაგან სრულიად განსხვავდებიან.

ახალი წელიწადი საზოგადოდ დიდს დღესასწაულად ითვლება საინგილოში. ძველად, როცა ქრისტიანობა გამქრალა იყო საინგილოში ახალწელიწადსა, აღდგომასა და მარიამობის დღესასწაულებს მაინც არა სტოვებდნენ და ყოველი ოჯახი დღესასწაულობდა. სწორედ ამის გამოა, რომ ამ დღესასწაულებს თავისი ელფერი და ეროვნული თავისიანობა არ დაუკარგავთ. ინგილო დღესაც დიდს მნიშვნელობას აძლევს ამ დღესასწაულს და რამდენიმე დღის წინად ემზადება მისთვის.

ქალები ახალს ტანისამოსს იკერავენ და ერთობიან. ყველანი დიდ მზადებაში არიან და სადღესასწაულო ფაცი ფუცი აქვთ, რამდენიმე დღის წინად ტყიდან მოათრევენ უშველებელს ქორთუხს (ხის მორს), შეიტანენ სახლში და თან ამბობენ:— „ამ სიმძიმე ნუგან (აბრეშუმის პარკის მოსავალს ეძახიან) აბრეშუმი მოგვივიდეს ჩონ.“

მთელი ოჯახი მხიარულობს, ბავშვები ეივილხივილით მისცვივდებიან ქორთუქვს, ეშველებიან სახლში შეგორებას და სიამოვნებით იგონებენ მომავალს დღესასწაულს. ქორთუქს შუა-გულ ცეცხლთან მიაგორებენ და მხოლოდ ახალწელიწად დილას უკიდებენ ცეცხლს. ახალწლისთვის ყველა ოჯახში რაც გინდა ღარიბი იყვეს ახალ პურს აცხობს, პატარა ბავშვებს ლოლუებს უცხობენ, მოზდილ ბიჭებს ნამგლებს (ღულუებს), ქალებს ჯარას, მოხუცებსა და ხანში შესულებს კიდევ ბასილას.

ახალწლის წინა დღეს უნძრახობის დღეს ეძახიან. დილით ადრე ადგებიან ოჯახში ორნი და გავლენ ბაღ ვენახში. ერთს ცული ან წალდი უჭირავს ხელში, მეორე კი ხელ ცარაელია. პირველი მათგანი უნძრახი უნდა იყვეს, ე. ი. ხმა არავისთვის გაეცეს. ის მივა ხეხილთან და მოუღერებს ცულს მოსაჭრელად. ამ დროს მეორე სწრაფად შეაყენებს და მიაძახებს — „ნუ სკრი მაგ ხეს, პირობას იძლევა ახალწლიდამ კარგად დაიწყოს სხმა.“ ასე ჩამოუვლიან ყველა ხეხილებსა და ვაზებს, ყოველთვის უნძრახი ცულს უღერებს ხეხილს, მეორე კი აჩერებს და ნებას არ აძლევს ხის მოჭრისას. ინგილოს შეხედულებით ხეხილს თუ ამ დღეს დაემუქრა კაცი, შეშინდება და მომავალ წელს მშვენიერად მოიხსავს.



ამავ საღამოთი ბავშვებს აფთხილებენ, როც ხვალინდელს დღეს ერთმანეთს არ წაეჩხუბონ, ცუდი სიტყვა არავის უთხრან და ყველასთან სიამტკილად იყენენ, თორემ დაეკვებებათ და მთელის წლის განმავლობაში ჩხუბში და დავიდარაბაში იქნებიან.

მეორე დღეს სისხამ დილა ადრიან, როცა ღამე დღეს ჯერ კიდევ არ გაპყრია და მთის წვერებიდგან ნათელი ოდნავ წამოპყობს თავს, სახლის უმფროსი ადგება, ჩუმად გავა სახლიდან, თან წყლის ჭურჭელს წაიღებს და ერთი მუქა ბრინჯს. მივა მდინარეზედ, ხელ-პირს დაიბანს, წყალს ამოავსებს და სახლისაკენ წამოვა. მივა ქისკართან თუ არა შესძახებს:

— უუ... კარი გააღეთ. სახლიდან გამოსძახებენ:—ვინ ხარ, რა მოგაქვს, რა მოგიტანია?

— მოვდივარ, მომტანს წყალობაი, ღმერთის ბარაქაი, სიცოცხლეი.

ამის შემდეგ კარებს გააღებენ, სახლის უმფროსი შედის და თან ამბობს:—ჩემ ფეხ, კოლ ანგელოზის, ღმერთის ბარაქაი, ქულფათის გამრავლებაი. ამ სიტყვებთან ერთად იღებს ჯიბიდან ბრინჯს, მიაბნ-მოაბნევს და თან ამბობს: „ასე გვიმრავლოს უფალმა ჩონი ბახლობა (ოჯახობა), ასე გვიმრავლოს დოვლათ, ფრინველ, საქონელ და ღორთიანათ ლაფ ყველაფერი.

შემდეგ სახლის უმფროსი თაფლში ამოავლევს პურსა და ყველას, დიდსა და პატარას დააბერებს.

ბავშვებს სახლში შემოაქვთ თხილისა და თუთის პატარა ტოტები, ურჭობენ ქერში და თან ამბობენ, ახალო წელიწადო, როგორც ეს ხეხილები ისხავენ ბევრს, ენგრეთვე მომავალ წელიწად, კაი ჰქენ აბრეშუმის მოსავალი.

ყველა ამეებს რომ მორჩებიან მთელი ოჯახი ვენახში მიდის და იქ საუზმობს. ხონჩაზედ აწყობენ პურს, თაფლს, ხორცს და სხვა საუზმეულობას, მიაქვთ ვენახში და თან მიჰყავთ კარგად გასუქებული განგებ ამ დღისთვის მამალი ან ყვინჩილა. ერთ-ერთს მიაქვს გოდორიც პატივით სავსე. ამ პატივს ვაზებს უყრიან და მოპირქევაებულს გოდორზედ ხონჩას საუზმეულობითა სდგამენ. უფროსი ოჯახობა ვაზს გასხლავს, გამოსქრის თხილის ქიგოს, ჩაუსვამს ვაზსა, თან წყლის მაგიერ ღვინოს დაუსხავს და ეტყვის:—„ვაზო, როგორც ამ ღვინით უხვად გიღობო ძირსა, ასე უხვად უნდა მოისხა და შრომა დაუფასო შენს პატრონსა და ამ ჯალაბობას.“ ყველანა სასოებით უცქერიან ვაზსა და ოჯახის უმფროსიან ერთად თითონაც მის სიტყვებს იმეორებენ გულში. ოჯახის უმფროსი მამალსა ჰკლავს, გამოაძრობს რამდენიმე ბუმბულს, შეჰკრავს ბაწრით და ამავე ბაწრით შეყვლავს გასხლულ ვაზსა. ამის შემდეგ დასხდება მთელი ოჯახი და მოტანილს საუზმეს შეეჭყევა.

ამ დღეს ინგილოებმა მისვლა-მოსვლა ერთმანეთთან და დღეობის მილოცვა არ იციან. ყველა თავისთვის არის ჩაკეტილი, ძმაც კი არ მივა ძმასთან. ამას იმიტომ შვრებიან, რომ იქნება ვისმეს ცუდი გული აქვს ჩვენზედ, ძვირი უნდა ჩვენთვის და ამ ბედნიერს დღეს რომ მოვიდეს ცუდიაო, აღარც კირნახული მოგვივაო და არც აბრეშუმი ივარგებსო.

ზაქ. ელილი.

* *

უძღვნი კნ. ელ. ჯამბაკურ - ორბელიანისას

მივეც ყოველი მწარს დავიწყებას,
თვით სიყვარულიც, ტბილი იმედი,
ვეალერსები შორით ოცნებას,
და არ მეწვევა ვიცი აწ ბედი.

ნუ უკაკუნებ ლამაზ თითებით
საუკუნოთა დახშულ კარებსა,
ნუ შეეხები მძლავრის ხელებით
მიძინებულსა ჩემსა იმედსა.

ნუ თუ შენ გინდა, რომ ძლიერება
შენის არსების ჩემზედა სცაღო,
დამცინო მერე და უბედური
აღშფოთებული ქვეყნათ დამავდო!


ნუ უკაკუნებ ლამაზ თითებით
საუკუნოთა დახშულ კარებსა,
ნუ შეეხები მძლავრის ხელებით
მიძინებულსა ჩემსა იმედსა.

მარიამ ბარათაშვილი.



ქართლის ვითარება.

ჩვენი ქვეყნის ვერც ერთი კუთხე ვერ დაიკვებებს განვითარებულ საზოგადოებრივობით, კულტურითა და მოქმედებით, ხოლო ამ შემთხვევაში საქართველოს უდიდესი პროვინცია—ქართლი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თავის უსიცოცხლობითა და უნუგეშო მდგომარეობით. თუ წარსულში იგი წარმოადგენდა ერთობის ბურჯს, თუ წინათ იგი კულტურისა და ძლიერების იდეის მატარებელი იყო, დღეს ქართლი მიძინებულია.



მე ავადმყოფივით თავს დააწვა ოჯახის სხვა წევრ-
თაც და იმათაც უშლის თავისუფალ მოძრაობას,
მოქმედებას.

ყველა, ვისთვისაც-კი ძვირფასია ჩვენი ვინაო-
ბის დაცვა, ჩვენი წელში გასწორება, ჩვენი თავის
ხალხად მოხსენება, მოვალეა დაეხმაროს მას ამ სა-
ხიფათო მდგომარეობიდან თავის დახწვევაში. საჭი-
როა ეს საერთო საქმისათვის, რადგან ქართლს
უჭირავს მეტად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული
მდებარეობა, დღემდე მასშია შენახული დამოუკი-
დებლობის ტრადიციება, და ქართლელთა მტკიცე
სული ჯერ კიდევ სრულიად არ ჩამქრალა.

ქართლს-კი ბევრნაირი წამალი სჭირდება. აი-
ღეთ თუნდ საშინლად დახლართული ურთიერთო-
ბა გლახთა და მემამულეთა შორის. ხშირად შეხვ-
დებით სოფელს, სადაც ზოგი დროებით ვალდე-
ბულია, ზოგი ხიზანი, ზოგი მოღალე, მესაუთრე,
მოიჯარადრე, ზოგი-კი ერთიც, მეორეც და მე-
სამეც.

როგორა გნებავთ, ეხლა, ამ ხალხის შეერთე-
ბა ერთ საქმისათვის?

ის ათი დღიური ნადელი, რომელიც ორ-
ოცდა ხუთის წლის წინად მიეცათ ეგრეთ წოდებ-
ულ დროებით ვალდებულთ, გამრავლებულმა გლე-
ხობამ ათასნაირად გაიყო, დაინაწილა და დღეს
მონადელეს სამწვადე შამფურივით გაგრძელებული
მიწის ზოლი-ლა შერჩა ხელში

მეორე მხრით წარმოიდგინეთ მემამულის მდგო-
მარეობაც. თუ წინათ მას, მაგალითად, საქმე ჰქონ-
და ხუთმეტრიოდე გლახთან, დღეს სამოცთანა აქვს
საქმე. ამასთან თვითეული საქმე რამდენიმე ჩანა-
ხისა და მანათის ღირებულებით განიზომება.

მემამულეს ვერც ამ თითო ოროლა ჩანახისა-
თვის დაუნებებია თავი, რადგან, მაშინ მთელ ჯამ-
ზე უნდა აიღოს ხელი, ხოლო ამ ჯამის შესაკ-
რებად იგი უნდა დასდევდეს, ეხვეწებოდეს და არ-
თმევდეს სამოც პირს, თვითეულს ცალ-ცალკე. ასე
კნინდება და წვრიმალდება მემამულის ენერგია და
ტვინი.

რად უნდა ითქვას მონადელე გლეხზე, რო-
მელმაც ორმოც და ხუთი წლის განმავლობაში
თავის ნადელის ღირებულება რამდენჯერმე გადი-
ხადა და, რასაკვირველია, ფიქრადაც არ მოსდის
მისი კვლავ შესყიდვა.

ამ რიგად მემამულე და გლეხი ვერც განშო-
რებულან, ვერც შერიგებულან, ხოლო მტრობა
და ძულვა ერთმანეთისა დღითი-დღე მატულობს
და ავსებს ბოროტებით ორთავე მხარეს.

გადავიდეთ ხიზნებზე.

შიდა ქართლის მესამედზე მეტი სახიზნოა.
ამ ინსტიტუტის კუროსული მხარე იმაშია, რომ
კაცი ძნელად გამოიცინობს, თუ ვის ეკუთვნის მი-
წა, მემამულეს თუ გლეხს

წარმოიდგინეთ სოფელი, ოცი კომლისაგან
შემდგარი; თვითეულ გლეხს უჭირავს ზოგს რვა
დღიური, ზოგს სამი, ზოგს ხუთი. თუ მაგალითად,
პეტრე არ იძლევა ღალას, მემამულეს არ შეუძლია
გამოართვას მას მისი ნახევარი და სხვას გადასცეს,
მაშასადამე მემამულეს არ შეუძლია თავის მამული
ისე მოიხმაროს, როგორც მას სურს, ხოლო
თავისუფალი მოხმარება აუცილებელი ელემენტი
საკუთრებისა. ამავე დროს ორთავე მხარე იხდის
გადასახადს, მემამულეც და ხიზანიც. ამის გამო
გლეხი ხშირად იტყვის და იფიქრებს: ალბათ მამუ-
ლიც ჩემია, ხიზნისა, რადგან გაუგონია რომ გა-
დასახადს მხოლოდ მამულის პატრონი იხდისო.

ეს გამოურკვეველი მდგომარეობა კი ბევრი
შფოთისა და დავიდარაბის მიზეზია ხოლმე.

მართალია, ამ მდგომარეობიდან მემამულეს
აქვს გასავალი, ეს არის სენატის გადაწყვეტილება.
თუ მემამულე გადაიხდის ხიზნის სახლისა და სხვა
მის შენობათა ღირებულებას, შეუძლია ხიზანი მი-
წიდან აჰყაროს. ხოლო ეს უფლებაც უქმია მემამუ-
ლისთვის, რადგან ვისა აქვს ეხლა იმოდენა შეძ-
ლება რომ ამ საქმეზე გადაყაროს. ხიზანთა და მე-
მამულეთა ურთიერთობის გამწვავებას ისიც უწყობს
ხელს რომ, მიუხედავად იმავე სენატის გადაწყვე-
ტილებისა, რომ ღალების ასაკებად ოცდახუთ
გირვანქიანი ჩანახი უნდა იხმარებოდეს, ზოგი მე-
მამულე 26, ზოგი 28, ზოგი 30 და არიან იმ გვარ-
ნიც, რომელნიც 32 გირვანქიან ჩანახს ხმარობენ.

მოღალე, მოიჯარადრე და უმამულო გლეხებ-
ზე ხომ ლაპარაკიც მეტია. ქართლში მეტად ცო-
ტაა მიწა და ამ კატეგორიის გლეხებს უკიდუ-
რესობამდე გაუჭირდათ. კაი ფასიც რომ მისცენ
საკმაო მიწას ვერ შოულობენ. თანაც ქართლელი
მეტად მძიმეა და ძნელად შორდება მამა-პაპეულ
სოფელს, რომ სხვაგან იშოვოს და დასდოს ბინა.

ქართლის არც ერთი წოდება არ ირის ჩაყე-
ნებული ისეთ იურიდიულ ნორმებში, რომ თავი-
სუფლად ამოისუნთქოს და შემოქმედების გზას შე-
უდგეს. რა თქმა უნდა რომ ყველა ეს უკუღმარ-
თობა მთელის თავის ძალით გლახობას აწვება, ასუ-
სტებს მას, უსპობს ბრძოლის უნარს და არ ძალუძს
მოიგეროს უცხოთა ქართლში შემოსევა და ეკო-
ნომიური დაპყრობა.

თუ დაუმატებთ უკანასკნელ ცხრა წლის გა-
დასახადებისა და „ნედლომკების“ ერთბაშათ აკრე-
ფას, მუდმივს, ზედი ზედ მოუსავლელობას, ხალხი-
სა და აზნაურობის უმრავლესობის სატენიკო
და სამეურნეო ცოდნათა უქონლობას და სხვა,
თქვენ ნათლად წარმოგიდგებათ ქართლის შინაური
ცხოვრების სურათი. ამ „მემამულეთა კუთხეში“
ერთი ორის გარდა საკუთარ მეურნეობას არავინ
აწარმოებს, თორემ უმამულო ხალხს სამუშაო მაინც
ექნებოდა და მამულიან გლეხს—მაგალითი.

ან როგორ უნდა აწარმოვინ მეურნეობა, როცა ძველად თ აზნაურნი ერთმანეთში რომ იყრებოდნენ, იმას კი არა ცდილობდნენ, ჩემი ნაწილი ერთ ადგილს მივიღოვო, არა, ყოველი მათგანი ცდილობდა ცოტ ცოტა, ოღონდ ყველა გასაყოფ სოფელში კი მიეღო თავისი წილი, ისიც სულ სახიზნოთ გახადეს. ძნელად შეხვდებოდა მემამულეს რომ იმ სოფელში, სადაც ცხოვრობს, მთელი თავის საკუთრების მეოთხედი მაინც ჰქონდეს, ან მეოთხედიც კი რა ბრძანებაა: თუ ბევრი მამული აქვს, ოც ალაგას მაინც ექნება გაფანტული, თუ ცოტას პატრონია, იმასაც ორ-სამ სოფელში მაინც ექნება ნაფლეთ ნაფლეთად. როგორცა ვთქვი, მემამულეთა უმრავლესობის მიწები სულ სახიზნოა: საერისთაო, სამაჩაბლო, საფლავანდო, საციციანო და სხ. და თვითეულ ამ საგვარეულოს მამულების რაოდენობა კი განიზომება ათი ათასობითა და ასი ათასობით, სახიზნო მამულში კი მემამულე ვერ აწარმოებს მეურნეობას, რადგან ხიზანს მამულს ვერ გამოართმევს.

აი მიზეზნი ქართლის უძლურებისა.

მემამულე ჩაფლულია წვრილალ დავიდარაბაში, ხოლო გლეხი მოკლებულია მამულს, მაგალითს და სამუშაოს.

ქართლი სხვა მხრივაც არის ყურადღების ღირსი. საქართველოს შინაური ნაციონალური საკითხი, თუ რა ურთიერთობა უნდა გვქონდეს ჩვენ და საქართველოს ფარგალში მცხოვრებელ სხვა ერებს, უნდა გადასწყდეს ქართლის მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, რადგან ყველა ეს უცხო ერები, გარდა ლეკებისა, ცხოვრობენ ქართლის ტერიტორიაზე, საჭიროა ამ ერთა გეოგრაფიული და ეკონომიური მდგომარეობის შესწავლა, ცოდნა მათი ეთნოგრაფიისა და კულტურისა.

კიდევ ვიმეორებ: საქართველოში მცხოვრებ ერთა ურთიერთობის საკითხი სწარმოებს მსოფლიო ქართლში. აი, მაგალითად: სომეხთა კითხვა არსებობს ზემო ქართლში (ახალქალაქის მაზრა) და ქვემო ქართლში (თბილისისა და ბორჩალოს მაზრები და თვით თბილისი); თათართა კითხვა ბორჩალოს მაზრაში, ოსთა—გორისა და დუშეთის მაზრებში, ბერძენთა—ბორჩალოს მაზრაში.

თვით ქართველ-მაჰმადიანთა კითხვა ზემო-ქართლში უფრო გართულებულია ვიდრე ბათუმის ოლქში; ამ უკანასკნელში მომ, გარდა მცირე შავშეთისა, ყველა კარგად ლაპარაკობს ქართულსა და ლაზურ ენას, სამცხე-საათაბაგოში კი, რაც რუსებმა დააპყრეს იგი, ქართველი მაჰმადიანობა განგებ ივიწყებს, და დაივიწყა კიდევ, ქართულ ენას; თუ მოხუცი კიდევ ლაპარაკობენ ჩვენ ენაზე, ახალგაზრდებს ამისი არა ესმით რა.

ყველა ზემო ნათქვამით მე მინდოდა მეჩვენებია ის დიდი როლი, რომელიც კისრად აძევს ქართლს საქართველოს წინაშე. მართლაც და ვინ უნდა შეაერთოს იმერეთი და კახეთი თუ არა ქართლმა, ვის ფარგალში უნდა გადასწყდეს შინაური ეროვნული კითხვა. იგია საქართველოს წინა სინაგრე და მასზე მოაქვს ყოვლის უწინარეს ყველა ჩვენ მტერს თავისი იერიში. ხოლო ქართლი რომ თავის საპასუხო როლს გაუმკლავდეს, საჭიროა მისი განკურნება, საჭიროა რომ მას გაეხსნას ხელები, ამაში მას უნდა დაეხმაროთ ყველანი, განურჩევლად ჩვენი პროვინციულ ვინაობისა.

ამას მოითხოვს საერთო საქმე.

ივ. ციციშვილი.

ლ ა უ რ ა .

იქნება კიდევ, რომ კვლავ ვნახო იგი რაც იყავ, თუმცა ჟამთან ერთად არ ვადივლის შენი მშვენება. ძალგინდს რომ ჩემს გულს ის კვლავც უყო, რაც ერთხელ მიყავ, თუმცა ჩემს გულისთვის ერთხელც კმარა შენი ჩვენება!

ახ! შენი გული სიყვარულის ყვავილთ არს მდელი და შენი ხმანი—მხოლოდ ჟღერა ტკბილის მღერისა! როცა ვერ ვნახო მარად შენივის ვსთქვა სადღეგრძელო და როცა ვნახო მე მიგძელდეს დღე შენთ მზერისა!

ლამაზი თვალათ, ვით სულითაც კვლავ მშვენებერი ახ, რა კარგია, რომ დარჩები მშვენება მარად! დრომ მომავალმა ვერ შესცვალოს შენი იერი და დრომ წარსულმა მარად შენთვის ინალვლის თავად!



მე მრცხვენის მარად რომ ღირსეულს გეტყვი ვერც თუ რას,
 მშვენებას შენებრს ჩემი ჩანგი არც როს არ ეღერდა;
 და თან მიხარის, რომ შენ უფრო ჰვევხარ ლაურას,
 ვიდრე მე მგოსანს, ვინც ლაურას ნიადაგ მღერდა.

მაგრამ დარჩება ჩემი ლექსი მაინც შენს წიგნში
 და მე კი გავსწევ სულ სხვა მხარეს და სხვა ქვეყანას,
 მას დაივიწყებს შენი გული გართული ღვინში
 და მოიგონებს ჟამს სვენების, ვით ამოცანას.

და თუ მე მაშინ მანდ არ ვიყო და შორს, შორს ვსჩანდე
 ნუ შემობრალე შენსა მგოსანს; მე ბედს არ ვძრახავ!
 ძალმიძს რომ ვსწიო მე ჩემი გზა ქვეყნის მიჯნამდე,
 დასანანებელს მე იმ გზაზედ მეტს ვერას ვნახავ!

შ. ამირეჯიბი.



რედაქტორის სრიპი.

ამბავი.

განება ჰაგლაგი ცხენივით შეურჩება... ცნება კი ჩაქნაკით ძლივს იძვრის.

სულიერად დავიქანტე, მაგრამ მაინც არ იქნა და არა—ვერაკითარი ნათელი აზრი ვერ გამოვწერე ჩემს თავს. ის ვერანა სრულიად გამოფიტულა.

დრო-კი დათხრებული მიბრის, თითქოს ეშინიან ხელი არა ვტაცო და არ ვკავჩერო... დამჩენია სულ რამდენიმე საათი... ამ მტინე ხნის განმავლობაში კი აზრი კიდევ უნდა ვშობო და კიდევ აღვზარდო...

აჰ! რად გადავარდი ამ ქვეყნად, სასწაულების ხანაჰ?! ან სადა ხარ ეშმაკო, სათანაელო!! გასჩნდი ჩემს წინაშე და მიიბარე ეს ცოდვილი ჩემი სული, თუ-კი რაშიმე გამოგადგება... მაგიერს ბევრს არსა გთხოვ... მხოლოდ ერთ ჰაწია მოთხრობას, სახალწლო ამბავს... სხვას არა ფერს... სულს-კი არა—ხორცსაც შენ მოგვიდი საიქიოსაც და სააქაოსაც, ოღონდ... ოღონდ ეურში ჩამაწვეთე აზრი სახალწლო მოთხრობისთვის...

ავანსის მომგონო, წუეუდ და შეჩვენებულ იყავ ამ ქვეყნად და იმ სოფლადაც!.. მერე და... ვინ ქართველი მწერალი და ვინ ავანსი?!.. არც არვინ დაიჯერებს, რომ გაყამილო: ერთ კვირაზე მეტია, რაც ჩვენმა ახალმა რედაქტორმა ახალის ყურნაღისამ, —რომელიც, რადა თქმა უნდა, ჰირველსავე ნომრის გამოსვლისათხავე მოისპობა ძალით ან ნებაყოფლობით, —ორი მან. და ათი შაურა მიმცა ჟამის გაჭირებისას და სახალწლო მოთხრობა შემიკეთა.

დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ მართალი-კია... ისიც მართალია, რომ მთელი სასუიდეის თავი და ბოლო მარტო

ეს ავანსი იქნება... მაგრამ დაზირებული მაინც უნდა შევასრულო, თორემ, მე რომ ჩვენი რედაქტორის უხააკი სასათი ვიცი, საქვეუროდ თავს მომჭრის და მწინადად ჩასდებს...

რასა ბრძანებთ?! ჰმ!..

სოციალ-დემოკრატიზმის საშამ შობილი, სოციალისტ-ფედერალიზმის ემბაზში ნათელ-ღებული და ახლა, ერთსა და იმავე დროს, ორბირაიანუსივით, ოქტიანობისა და მაქსიმალიზმისაკენ შირ-შებრუნებული—აი, რა არის წარსულ აწმყო-მომავალი ჩვენის რედაქტორისა!...

მოდე და... ნუ დასწერ სახალწლო მოთხრობას, თუ ბიჭი ხარ!.. სხვა რომ ვერა მოახერხოს რა — ტერორს დაგინიშნავს...

ნამდვილი ტრაგიკომედიაა ჩემი მდგომარეობა... ჰაწია ოთანის... მიურილ-მოურილი... სად ჰალტო, სად ჩექმები .. სად თეთრული... კედელზედ უცნაურად შეთუზნილი... (ჩემი სურათი არ გეგონოთ) საკე, მრავალ გზით, სისწვრავ და სიკანეზე გაბზარული — შიკ რა ჩაიხედავ ერთბაშად ხუთი სხვა და სხვა სახე წარმოგიდგება; ერთი ერთმანეთზედ სასაცილო... სამწერლო მაგია, —ფეხებ დაზიანებული, რის გამოც ჩემს მიანლოვებაზედ ისე თანახებს, ვით ზურგ გადაგვეჯილი ცხენი, როცა უნაგირს ადგენ ხოლმე... და გვირგვინი ამ სურათისა—მე: ცაცრიაკებული სახით, თმა აზურძგნული, გულ გაღვილი, გონებრივ უილაჯობისაკან უღვაშების მიკნეტავი, ხელის ფრხხილებზე სამგლოვიარო არმია შემოვლებული... უგულა ეს კი თუთუნის ბოლში გახვეული... ნამდვილი ხალისა...

მე რომ მხატვარი ვიყო უკეთესს სიმბოლოს ხალისის სურათისთვის ვერ განვიცდიდი...

ხალისი გარემო... ხალისი თავში...

მოდე და... დასწერე სახალწლო მოთხრობა, თუ ბიჭი ხარ!..



უნდა-კი დაგწერო... ჯანა უნდა გავიცდებინო და დაგწერო...

რას არ ჩავდივარ, რომ ტვინი ავამოძრაო... ხან ვთვლივ, რომ ეგებ ძილში დამესიზმროს ახრი სსახლ- წლო მოთხრობასა... სწორედ ისე, როგორც ძველებურ არაკებშია ჩანობი: ზაწია, გათმობა, შშიერ-მწერვალი ბაღლი მიიძინებს საღმე კუთხე-კუნჭულში... ძილის დროს მას მოეუღიებო კეთილს შიენელი იფია... ბაღლს გამოეღვიძება და ხელავს, რომ ხელში ოქრო უძევს... აჰ! ნეტავი მეც მომეუღიებოს ასეთი იფია და თავში სსახლწლო მოთხრობის ახრი ჩამიდოს ..

ხან-კი ბოლოსა ვცემ, ან ვხტი, გიმნასტიურად ვავარჯიშებ სხეულს, რომ სისხლი ამიღუღდეს, ძარღვები ამეშალოს, ტვინს სიციხველე გადავცეს... ხან მივად საწიგნე განჯინასთან და ზეზეურად ვათვალიერებ წიგნების სთაურებს, იქნებ რომელმამე მათგანმა კვერი დაჭკრას ჩემის გონების ტალს და აზროვნების ნ.პერწყა- ლი დააკვესებინოს .. ხან ვფურცლავ ძველს ალბომს სურათებისას ამ იმედით, რომ ერთ ერთი ამ სურათთაგანი აღმიძრავს სამოთხრობო იდეას...

მაგრამ აბა!.. ვუვლადიერი ამაა... არა ევარება-რა ჩემს გათმობას, გაეინულ ტვინს, როგორც სსტურისს სქესებრივი ვნებათა-ლეღვა...

ოჰ... სასწაულო! ჰქმენ შენი დიდებუელი საქმე! აღადგინე მკვდრეთით ჩემი კარდაცვალებული გონება, ნიჭი შემოქმედებისა, ვით ქრისტემ აღადგინა ლაზარე და გი- წამებ... გიწამებ ახლაც და სსამრადისოდ!..

* * *

ეს რაღა ამბავია?.. კარებს არხუნებენ... ვინ ოხე- რი უნდა იყოს ამ დროს? აკერ ორი სსათი სრულდება... ვაღებ კარებს და რას ვხედავ!..

— არჩილ!.. საიღამ?

— ოჰ!.. ნუ შკითხავ...

არჩილი ლასლასით შემოდის... თვალები მიხედა- ლი, უზალტო, გასვრილას ტანისამოსით... და ქშენით მძიმედ ეშვება ძველ სავარძელში, რომელიც იქვე: მაგი- დის მეორე მხარეს სდგას. ჩემის ოთახის ბურუსშიაც კი ვარჩევ მის გაფითრებულ, ჩაშლილ სახეს... მწუხარება შავს ლაქებს და სსხეულია თვალები ქვეშ ..

ხანგრძლივი მდუმარებაა, რომელსაც მხოლოდ არჩილის გახშირებული და მძიმე სუნთქვა და არღვევს ..

— აღმინაო, რა დაგემართა, არ იტყვი? საიღან განდი ამ დროს?..

არჩილი შეტორტმანდა სავარძელში, ერთ წამს თვალები გახილა, თითქოს უნდადა რაღაც ეთქვა, მაგ- რამ მხოლოდ ამოიგმინა და მოწყვეტილივით თავი ჩა- ქინდა.

სხანდა, არჩილი სულის სიდრმემდე შერყეული იყო იმ ამბით, რაც მას დამართდა და უბედურება მძიმე ლოდვიით ზედ დასწოლოდა.

გამოკითხვა და ცნობის-მოყვარება ამისთანა მდგო-

მარებაში შესაფერი მოციქული არ იყო ორ მეგობარს შორის და ამიტომ ვარჩიე არჩილი მისივე თავისთვის მიმენბრებინა.

კვლავ წელანდელმა სიჩუმემ დაისდგურა.

ბოლოს არჩილმა თავი მადლა ასწია და თვალები შემომინათა... ოთახში გამეფებულ ბურუსის გამო ასე მე- გონა — უნდავ ძათზე დაკიდულ ორ ნაკვერჩხალს ვხე- დავ მეთქი, როცა თვალი თვალში გაფურავ.

— არ გებრადები?! — შემომბდავლა არჩილმა. დიად, შემომბდავლა, რადგან ეს ორი სიტყვა ბდავილით იყო წარმოთქმული და არა აღმინის ჩვეულებრივის ხმით

— რა იყო, რა დაგემართა? — შევეკითხე მე.

— შენს წინკაცის მკვლელია... — სთქვა არჩილმა ჩურ- ჩულით, უფრო კი ჩახლევწილის ხმით.

— რას ამბობ, კაცო?! — შევეიფლე გველხაბებნი- ვით.

— სსუ!... — გამანკრა ათრთოლებულმა არჩილმა — აღმინის სისხლში მაჭკვს აი, ეს ხელები გასვრილი...

ვიგრძენ, რომ გული გადამიჩანდა, სსხეუ კი სი- ფითრემ გადაშკრა და ზურგზე ჭიანჭველები ამოფუტ- ფუტდა.

— ვისი, სადა? — ძლივს-და მოვანკრე წამოყრან- ტალები, რადგანაც სსსულეში რაღაც გამეხიხრა.

არჩილმა ორივე ხელის თითები ერთმანეთში ჩააწ- ნა და სსხრები ძლიერად დაძკრა, თითქოს თითების გადაფშენეტას ლამობდა. ამისთანავე ისე ამოიგმინა, გე- გონებდათ სხეულზე სსჯალათო ქანჩი მოუჭირესო.

* * *

— მე ის მიყვარდა საბედისწერო გრძობით... თანდა- თანობით, მალეუდად შემოემართა ჩემს გულს ეს სიყვარული და მთელი ჩემი არსება გაავსა... თითოეული უჯრედი, თითოეული თვალი ჩემის სულიერ და ხორ- ციულ ქსელისა სსავსე იყო ამ სიყვარულით, ამ გრძობ- ბით... წარმოიდგინე, რაღაც უცნაურ სენად გადაშქტა ეს გრძობა. დიად... ტანჯვა თუ სინარული, ამ გრძობ- ბით აშლილი, ორივე რაღაც ტკივილს უფრო ჰგავდა, ვიდრე სულიერ თრთოლვას .. ხომ არის ისეთი სიამოვნე- ბა, რომელიც სიტკობებსთან ერთად გავგრძობინებს აგრეთვე ფიზიკურ ტკივილს...

კარგად იცი არტისტის მდგომარება: სიყვარუ- ლის სამოულობელოში იგი უფრო თავისუფალია; ვიდრე სხვა ხელობის აღმინაი. მისთვის გაცილებით ხშირ-ხში- რია სიყვარულის წაღკოტში ვეგვილის მოკრეფა.

ისიც იცი რომ თვალში ჩინი არ მავლდა და ნი- ჭიერთა შორის მეც, ცოტა არ იყოს, იფიხი მედგა. ამის გამო არა ერთხელ დაწვეფებიავარ ტრფიალების ნექტარს, არა ერთხელ მევარება და არა ერთხელ ვევარებიავარ...

ჩემი გამარჯვება ტრფიალების სსმთავროში უფრო მეტად ჩემსავე ამხანაგ ქალთა შორის ჰქმლიდა ხოლო თავის ბაიარადს და, გამოტყენით უნდა გიოხრა, რომ



თავი მომხიბვრის ასეთმა გმარჯვებ მ, რადგანაც ალუის შემორტუმბა თითქმის არც კი მიჩნეობდა და ესა თუ ის ციხე-სიმაგრე ადვილად მჩქებდებოდა ხელში.. მაგრამ ასევე ადვილად გადადიოდა იგივე ციხე სიმაგრე სხვის ხელში. ამას გარდა, უნდა გითხრა, არტილის სიყვარულისთანა ერთად გრძობა სხვა ადამიანში არ მოიხიბვება. იმის სიყვარულს უფლებადმი დავი აზრის მისი ხელფარებისა. იგი იმავე ხელფარებით, რომელითაც აზი-რფენებს ამ თუ იმ ზიკისის გმირს, კადმიგვემს თავის არსებობის თითოეულს, ცეცხლქვილებს... მაგრამ მხოლოდ კადმიგვემს და არ განიცდის თითონ... მეტს ვიტყვი: იგი სიყვარულში თუ სხვა გრძობაში სცენასეულ უფრო ბუნებრივია, ვიდრე ნამდვილ ცნობებში...

ამიტომაც ძალიან იშვიათია ხელში ღრმა და ხანგრძლივი სიყვარული არტილის მიმართ. ამ წრეში მხოლოდ დროებითი გატაცება გამოიხატება, ისე რადა... აი, ერთბაშად, ცხუდ ცნობები რომ გადირბენს ხელში... იმის მსგავსად.

მოძვირდა ეს ერთ-კილოვანი გრძობათა თამაში, რომლის დროსაც ხან მე ვიქცეოდი ბურთად სხვის ხელში, ხან კი სხვას გავიბურთავებდი ხელში.

მე ვეძებდი სხვა რამეს... რა იყო ეს სხვა რამე— მე თითონ არ ვიცნობდი, მაგრამ ვგრძობდი კი, რომ მისი შემერეული—მე იმას როდი-და გამოვცნობდი, რომ წინადა შეგრძობა და შეძრახვა.

ასეც მოხდა. წელანაც გითხარი, — ანაზღუდად როდი ჩამჭრია მისი სიყვარული გულში. კარგა ხანი ვიცნობდით ერთმანეთს.. აქა თუ იქ, საზოგადოებაში ვხვდებოდით ერთმანეთს.

კვრ გამოთვალისწინებია ის წამი, ის სათი და ის დღე როდესაც ვიგრძენ, რომ ჩემი არსება ცარიელი როდი-დაა, რომ მასში, სორციელად თუ არა, სულიერად მაინც, სხვა ვიღაც მოთავსებულია და აღარ მშორდება. ამის შემდეგ ისე ვიყავ ამ ჯადოსნურის გრძობით შეზერობილი, რომ შეგონა ჩემს სიცოცხლეში სხვა არავინ შეკარება და მუდამ ჩემი ტრფიანების საგანი ერთად ერთი ის იყო... და თუ აქამდისინ მიგვრძობის ამგვარი რამე—ეს იყო მხოლოდ სიზმარი და არა ცხოვრების სიცხედე.

კარგა ხანი იყო, რაც სიჭაბუკის ჭასაკს გადავცნობდი. მასხანდაშე. ცოტად თუ ბევრად, გრძობა-დამჭდარი და ცხნება ფრთა-შეკვეცილი უნდა შექონდა. როდი და უნდა მივცემოდი ტრფიანების თავდაშვიწებულ ფრთონას.. მაგრამ ასეთი შედეგი არა ჭქონდა ჩემს სიყვარულს...

შორს, სადღაც, მიუჩუებულ კედლის გულიდამ გადმონახქეუ ვ წია ჩხჩქერის შემუერე ადამიანი ხომ ვერ იტყვის წინადაე, — რა ზომამდე შეიძლება გაიზარდოს და გაიკოსოს ეს ნაკადი?... შეიძლება იგი თვის დენაში ისე გაზავადდეს, რომ კიდებიც კი ვეღარ ჭჭოკოს წყლისა დასტევად.

სწორედ ასევე ითქმის ჩემს გრძობასედაც. იგი კვრ რუსოველებრივის მოკრძალებით იყოადბეჭდილა — „შორით ტანჯვა, შორით ბედა“... რომანტიულის ერთით დასეკადებული, ქალწულებრივის კავმა-მოსილებით ნაქსავა.

ჩვენი სულიერი და სორციელი შეუღლება ერთ სადამოს მოხდა, სოფლად სადღაც იგი ზაფხულს ატარებდა.

კანუმებულნი ვისხელით ერთმანეთის გვერდით სეკზედ გადამუერე ფარდულ-ქვეშ და ვსტებოდით ბუნების მშვენებით. დამე კარგად გადასული იყო. მთავრეს დავახშმნა და მისი მოლაზხაზე სინათლე მიჩლუნებულყო. უსახდვრო ცას მინახებული, მიმერთალებული შუქი გადაჭფენდა. ვარსკვლავები ისე ციმციმებდნენ, როგორც დაც კედამოსილ ქალწულის ცელქი თვალები. ივნისის დამლევი იყო. მთელი ბუნება ჭასაკში მოსულ ჭაბუკივით ლაღობდა, იღიმებოდა. ხალხთ ყრამული თუმცა მიწვევტილიყო, მაგრამ, საზაგეოროდ, ბუნებას გაეფიძნა და კველურობის ყინი აჭმლოდა. ფრთოსანთა საამური ჭიკტიკი, მწერთა ერთ-კილოვანი ბზულია ტრფიანების ფერხული გვერდებოდათ. ამ საიდუმლო ხმაურობას ჭარმონიულად უერთდებოდა მცენარეთა ფშვანა, რომელიც ვნებათა-დელვას თრთლვად გვერენებოდათ. ყვავილთა სურნელება ჭარში გუნდრუკის მსგავსად გემოდა და აი ზაფხულის დამეს ჯადოსნურის მომხიბლავობით ჭმოსავდა. ბუნების თითოეული გამოსახულება სინარულის ერთით იყო ნაქარგი... ყველაფერი, რასაც ნიჭი ჭქონდა არსებობისა, თითქოს ზენაარსის შემოქმედებითი ძალს მადლსა სწირავდა.

ჩვენი გულიც უერს უღლებდა ამ საერთო ლიტანის. რაც ხანი გადიოდა მკერდში სუნთქვა გვისშირდებოდა, სასულესთან რაღაც გვებჭინებოდა.

უღებ ჭერი ძალუმად შეირეა. სადღაც შორს, ჩვენს ქვევით, აღზნებულ ტურთა შეწებების ხმა გაისმა. — ყველაფერი, რაც-კი ფეთქავდა, მსწრაფლ მიჩუმდა, თითქოს ამ გრძობით გაყლენთილ ხმას უური ათსოვავ. უცრად დამრუღმა სიომ ეს ხმა ჩვენსკენ გამოაზარა და იქვე, ჩვენს ახლო, გაიმერა.

— სიოს ამბარს გრძობა? — გკითხე მას ჩურჩულით და თვალეში ჩავაშტორდი.

— გგრძობა — მიზასუხა მან და თვალეშიდამ უღვა-რება გამოკერთა.

— მასუნი გავცეთ — ვსთქვი ურედ.

— გავცეთ...

ჩვენი ხელები ანაზღუდად გადაიხლართა. იგი ჩემი იყო... მე მისი... ერთმანეთის არსებაში გა-ვიქეით.

შინ და კარედ, ძილსა თუ ღვიძილში — გაზვიადება არ დამწამო — ფიქრი იმის შესახებ მუდმივი თანამგზავრი იყო ჩემის გონების მოქმედებისა და გრძობათა მოძრახობისა. წარმოიდგინე, მაშინაც-კი როცა მისა ნახვა, შეხვედრა უფლად შეუძლებელი იყო, მაშინაც-კი, როდესაც ის სხვა მხარეს იმყოფებოდა, — მაინც მუდამ მას

დავეძებდი, რადგანაც სურვილი და იმედი მისის ნახვის იმდენად ძლიერი იყო ჩემში, რომ სისწაყლს მოველოდი ხალხე.

და როდესაც აღდგა ვარსივი ქალის ჩემდამი თანაგრძობის, როდესაც დადგა წაში და ერთმანეთს გული გადაუხსენით, — აი სწორედ აქედან იწყება ჩემი ტანჯვა...

ჩვენს დაკავშირებას თანამოგზავრად საშინელი ეჭვი დაჰყვა. აქამდის არასდროს არ მიგვრძენია ეს საშინელი მსახრადი ძალა ადამიანის არსებისა. წინადა მიჯნურისაგან მიჯნურისადმი დალატი აუცილებელ და გაძაღვალ კანონად მიმჩნდა სიუარულის სიერობი... დაწმუხებული ვიყავი, რომ დრო თუ გვიან ან ქალი გასცვილი და მამაკაცს სხვაზედ, ან მამაკაცი ქალს, საქმე მხოლოდ დროთა ვითარებაზე მეტონა დაშვარებული და ამიტომაც არასდროს არ გამოიტარებია კულში ეჭვი ჩემ სტრფოთა შესახებ. ხომ მომხვედრებოდა ჩვეუნად იმისთანა ბუნების ადამიანი, რომელნიც თავის დღეში არ ჩაჭვთიქრებოდა სიკვდილის საიდუმლოებას, მაშინ როდესაც იცოდა, რომ მსხვერპლნი არიან ამ საიდუმლოებისა.

მეც ვიცოდი, რომ, დღეს თუ არა, ხვალ მაინც ერთ-ერთი ჩვენიგანი ზურგზედ ახალის ვნებათა-დღევის გულ-ნაბადს წამოიკიდებდა... მხოლოდ იმაში იყო გარჩევა — მე დავსწრბოდი თუ ის დამასწრბოდა, ამიტომ არც თავმოყვარობის და არც გულის წყვეტას არ ვგრძობობდი... დიმილით ვუცქეროდი ჩემს ბედნიერ მეტოქეს, დაწმუხებული, რომ ამ ცოტა ხანში იმის ადგილს ახლა სხვა დაიჭრდა.

უნდა ვითხრა, ქალების შესახებ აღტაცებულის აზრისა არ ვიყავი. ასე მეტონა, რომ სსოკადოც ისინი ბუნებას მსახიობად გაუხენია... შეიძლება, რომელსამე მათგანს სსცენა ნიჭი სრულიადაც არ მოსდევს, მაგრამ მაინც ცხოვრებაში მსახიობია, მუდამ სხვის როლს ასრულებს და თავის ნამდვილ არსებას რიდეს აფარებს.

სულ სხვა იყო ჩემი სულიერი ვითარება, როცა-კი ვიგრძენი, რომ ჩემი და მისი ცხოვრების გზა ერთმანეთში გადაინჯართ... ის, რაც მე წინადა სიცილადაც არ შეაუზნადა, ახლა ძირიან ფესვიანად მარუევდა და გამოუთქმულ ტანჯვაში მაკდებდა. ერთი იმის წარმოდგენა რომ, შესძლებულია, ისიც სხვა ქალებივით მხოლოდ ეთამაშობდა ჩემდამი სიუარულს, რომ მისი ნახი აღერსი თუ შმაგი ვნებათა-დღევა მხოლოდ უბრალო ღაქურა ან ჩვეულებრივი სქესებრავი ნდობა იყო, — ტუინსა მწვავად და ხორციელ ტკივილს მაგრძობინებდა.

ეჭვი — შხამია, რომელიც ადამიანს თუმცა არა ჰქლავს, მაგრამ საშინელ დ კი აწამებს.

როცა-კი იმის სიხლადეკს ვიყავი, შესმოდა მისი ტუბილ ჰუნკოვანი ხმა, ხან მითრთოლვარე, ვით უვავილთა ბიბინი, ხან მიბნედილი, მიხელებული ვით გაზაფხულის მოვარაინი დამე — ვხედავდი იმის, ვარსკვლავივით მკრთომ, მოციმციმე თვლებს, — სიმწვავე სულისა, ქენ-

ჯინი გულისა მიუყდებოდა... მივიწყებოდა, რომ ქვეყნად არსებობს ცბიერება, თინთლიბაჯობა, გრძობათა მჩვენების უნარი...

მერე რა მომჯადოებელი იყო მისი სილადე, ბუნების სიცხველე, გრძობათა ცვალებადობა.

დღეს თუ მისი ამბობი — დამშვიდებულს, დაწმუნებულს — გრძობას ამიფეთქებდა ხოლმე, ხვალ იმავე ტუჩით დაკონება — ბუნება ადრულს — მსწრაფლად მამებოდა, მაცხრებდა, როგორცაც ნეტარი საღებნი.

ასევე მრავალფეროვანად მოქმედებდა ჩემზედ მისი მშვენიერი სხეული, როცა ქალის, ატამივით ბუსუს მოდებულ, კანს შეეცხებოდი ხოლმე.

მაგრამ ეველასზედ ძლევა-მოსილი ამ ქალის არსებაში თვალბი იყო. ეს არგანო მხედველობის გრძეული მანქანა მეტონა, რომელითაც განიზომებოდა ქალის სულიერი ვითარება. ამ თვალბებში მოგროვილ სხივთა კრებას ის დანიშნულება-კი არა ჰქონდა, რომ განეტყვიტა გარემოცული ბუნება. რამედ დაემჩნებინა იგი თავის ფეხთა ქვეშ და თავისი სურვილები ებძინებინა.

და რა მრავალ-გრენილოვანი იყო ეს სურვილები. ეოველ დღე, ეოველ საათს, თითქმის ეოველ წამს ქალი იერს, იერს იცვლიდა ხოლმე და ახალ ადამიანად შეჩვენებოდა. მუდამ ასე მეტონა, რომ მისი ადგზნებული თვალბების შემოხედვა ზირველი ნახვა იყო ჩემთვის, რომ მისი დამათრობელი სურნელოვანი სხეული ზირველად შეკვროდა მეგრდზედ და რომ ეს დვთაებრივი ნეტარება, მისის სიხლადეკით გამოწვეული, თავის დღეში არ მეტრძინა და დღეს ზირველად მატებოდა.

ერთის სიტუვით, ქალის გრძობათა მეტუეელებს დაუცხრომელი და უამრავ-ფერადიანი იყო.

— წარმოიდგინე — მეტუოდა ხოლმე ქალი — ასე მეტონა, ჩვენს სიუარულზედ ტურფა და ნარხარი არა არის-რა ქვეუნად... შენ, იქნება, გკონია, ეს მშვენიერი ვარდი, — ხელში რომ გიჭირავს, — ჩვენს დამოუკიდებლად არსებობს... არა, — იგი ჩვენი სიუარულის დამატება და სწორედ ამიტომაც არის ასე მომხიბვლელი... ასევეა მოკლი ეს ბუნება, რომელიც ცარს გავხვევია...

— შენ, იქნება, ხუმრობა გეკონას — განაგრძობდა იგი — მე-კი დაწმუხებული ვარ, რომ ასე... მამ რატომ შარმან არ იყო აგრე კველური ეს მცენარეთა კრება?... განა შარმან-კი არ ვუფილით?... მაგრამ მაინც მოწვენილი გამოიურებოდა, თლად... იცი?... ჩვენმა სიუარულმა გააცოცხლა ეს ვვავილები, ეს ხეები...

— დმერთმანი, დამ-დამობით, როცა ხალხის ფეხი მიწყებდა ხოლმე, დაწმუხებული ვარ რომ ეს ვვავილები ენას იდგმენ და ერთმანეთს ჩვენს სიუარულზედ ესაუბრებინა... არ გაიცინო და... ეს მისაკი ძალიან მეტორე არსებად მიმჩნია... აბა, შეხედე, როგორ აცდებებს თვლებს... შენ-კი მოურნიდებელი ხარ... მეხვევია... მეტონი... ამდამ ეს ცუდექი უვავილი თავს მოკვტრის... შენს თავაწვეუტელობას ეველას უამბობს.



— ვარდისა-კი ნუ გეშინიან... არ გაგვცემს . ვარ-
დი ერთგული მესიღუმელია და იცა რად? იმიტომ, რომ
თითონაც ტანჯულია... უკვლავ მტენარები თვალ ამრეხით
უფერებენ, რადგანაც თითოეულ მათზედ ღამისა და
შურს უდგოდეს.. მერე კადევ... ბუღბუღმა გაუტეხა
სახელი... ბუღბუღი შენსავით ზირღია არშოიას...
აქა და ვარდი მიუფარსო—გაბაშის ხოლმე თავისს ლექ-
სებს და ხმა-მადლა დამკერის...

მხოლოდ, როცა გაშორდებოდა ხოლმე—ათას
ხირი ფიქრი, აჭრი რამდენჯერას არ მძღვედა. მე თი-
თონ არ მჯეროდა ჩემი ბედნიერება... ვერ წარმომედ-
გინა, რომ ეს ყოველად სრული დადამანი, ეს ჭურჭელი
საუკეთესო გრძობათა და გონებისა მე შეკუთვნილია ..
ერთად ერთი მე ვიყავ ადრე-სწინები მისი სულიერ ჩანებისა
და მთელბოლოდ ხორციელ სილამაზისი . და ეტვი—ეს გე-
სილამაზისი მტერი დადამანის გამყოფილები—მშხამავდა,
გულზედ მტებდა .

— რა ხანა შენში ისეთი! განა შენისთანებები ცო-
ტანი არიან? შენზედ გცილებით უკეთესნი ცოტანი ახ-
ვევიან კარს?! რადა შენ ავირჩია მათ შორის?! რომე-
ლი მათგანი არ ჩასთვლიდა თავის თავს უბედნიერეს
დადამანს. და მართა ერთის მისი ღალი დიმილიანთავის?!
იქნება შენ ერთი მრავალთაგანია ხარ და სხვასაც ბევრს
ატობის მისი სულ-ხორცის მადლი. . მხოლოდ ერთი
ჩვეულებრივი სტუმართაგანი ხარ ზეიდად სუფრასზედ?!

ქალი ქმრისი იყო... ქმარი-კი იმ გვარ ცხვრელთ
ეკუთვნოდა, რომელნიც, რაკი მოიკლავენ ზირველს სურ-
ვილს, მისწვირენ ჭერ კადევ გაუფერჩქნავ კოკარს,
მერე გული უსუფლებათ და უურადღებან ადარ აქცევენ,
რით და როგორ ავსებს მათი მეუღლე გრძობა-გონების
საწყობს. . მდიდარი იყო, საქციეში გართულია, ხშირ-
ხშირად მკვანავრობაში ატარებდა დროს და ქალი თავისს
სურვილსა და ნებაზედ იყო დატოვებული.

ეტვი თუმცა ძლიერ ქარტყილად გადაქცეულიყო
ჩემს არსებაში, მაგრამ მაინც ნიშნდობლივ ვერაფერი
დამესვენა.

თავი ქალს ძალიან დიდის დირსებით ეჭირა...
კარს თუმცა მრავალი თავგანის მტემელი ესეია, მაგრამ
უკვლავ მათგანს, უდრმეს ზატოვისცემის მეტი, სხვა ვე-
რა შევნიშნე-რა, ქალის მიმართ..

მხოლოდ ერთი მათუქრისებდა ძალიან .. ემწვი-
ლი კაცი იყო... ქმრის ხათვისავი და მის სხლში გამინარე-
ბულია .. ამ ემწვილი კაცის გრძობა-გონების ავლადღებდა
არც თუ დიდის ადლით განიზომებოდა... იმის მსგავსი ბევ-
რი იყო მათ შორის, ვინც ქალის ამ ღას შეადგენდა,
მაგრამ სიანხლოვე რჯანთან, თვით ქალთან .. ძ-
ლიან შეიჭვრეულებოდა .. უკვლავ და უფველთვის გამ-
ცილებელი და თანამგზავრი ქალისა ის ემწვილი იყო...

რამდენჯერმე გადავუარ ჩემს სტრუფოს სიტყვა
ამ ემწვილის შესახებ .. ქალს სიცილადაც არ ეყო.

— როგორ არა გრცხვენინან, არილ, მაგ ეტვისა?..
ნუ იუ ვერა გრძობ ჩემს სიუფარულს? თუ იმდენად არა
ხარ ჩემზედ დაწმუნებული, რომ ეტვი გებღება, მამ
არცა გეფარებოვარ . მე შეგონა, ისე გაქვს ადღო გამა-
ხვლებული, რომ მაშინც-კი განიცილი ჩემს სიუფარულს,
როცა დაშორებულნიც-კი ვართ... და შენ—.. მაგრამ
მავიწვილებ, რამ მსახიობი ხარ და უკვლავ,—მათ შორის
მეც, მსახიობი გგონია. .

მერე დამიწვებდა რწმუნებას, თუ რა ზომამდია ჩე-
მი სიუფარულით სავსე... რომ მას შემდეგ, რაც მე შე-
უფერადი, მთლად დაჭკვრკასულიერი მეუღრბოდა .. რომ
ფიქრი ჩემს შესახებ განუშორებელია მასთან... რომ ჩემ-
მა სიუფარულმა მის ცხვრებაში შეიტანა რაღაც
უჩვეულო სხივი. . და ეს ცხვრებაც, რომელსაც წინად არ
ავსებდა, გაუშინარისიან და . . ამისთანები...

რაც შეეხება იმ ემწვილი კაცს—მიმტკიცებდა, რომ
იგი და-ძმურის კავშირით უფერს, რადგანაც უფველის
დირსებით არის სავსე და თავის დღეში არც ერთს მათ-
განს ანახდელულად არ გაუვლია თავში სხვაგვარი გრძობა.

მეც ვიჭკვრებდი უკვლავ ამას, ვიჭკვრებდი, რადგანაც
უფველად შეუძლებელი იყო არ დამეჭკვრებინა,—ხმაში იმ-
დენი ბუნებრივობა და სიმტკიცე ეტობოდა, სხეზე-კი
სისპეტაკე და გულ უბრევილობა ეხატებოდა.

მაგრამ მაინც ეტვი ჭინსავით მიხრავდა გულს რო-
ცა მარტო დავრჩებოდი ხოლმე, ისეთი უზომო წუხილი
ამეშლებოდა, თითქოს ჩემი გული ვიდაცის უღმობელ
ხელს ეჭირა და ნელ-ნელა, მაგრამ მოთვრად, სტყუელტა
და სისხლსა სწურავდა.

ათასი, უამრავი ფიქრი, წარმოდგენა ეშლებოდა ჩემს
დაავადებულ გონებას.. საზარელი, გარეწილებით ად-
სავსე სურათები მედგა თვალ-წინ, რომლის მომქმედნი
ზირნი ჩემი სტრუფო და ის ემწვილი კაცი იყვნენ... და
როდესაც გრძობდი, რომ ისიც ჩემსავით ესება იმის
სხეულს, ისმინს იმის ადერსიან ხმას, ითვრება მისის
ადგზნებულ ვნებათა-დღეფით—გიჟოვით გამოვიტრებოდი
კარედ და მზად ვიყავი მივვარდნოდი სხლში და საქციე-
ნოდ გამოეთასირებინა ის დედაკაცი... დადობილი ქუჩა-
ქუჩა, ვაქციერდებოდა თითოეულ ეტლს... მოვკრავდი
თუ არა თვალს ეტლში მჯდარ ქალ ვაჟსა ცეცხლივით
აღმური ამდიოდა სხეზედ და უფველ საშუალებას ვრდი-
ლობდი გამომეცნო—ისინი ხომ არ იყვნენ...

დავკარგე სულ -- ხორცის ძალა... ძარღვები მთლად
მომეშალა, მომიღუნდა, ადარავითარი მუშაობა არ შემიძ-
ლო, შეხსიერება დამეკარგა და ზაწია, უბრალო როდესაც



ძლიერს ვსწავლობდი. ვგელაფერზედ გული ამიტრუნდა... შემძულდა თვით ის ხელფანება, რომელსაც შევიწირე ჩემი უმარწვილ-კაცობა, საზოგადოებრივი მდგომარეობა და ნივთიერი კმაყოფილება. ჩამოვშორდი შეგობრებს, — ამას შენც შემატებდი... — განვმარტოვდი... ჩ ვიკეტე ჩემსავე არსებაში, რომლის გრძნეული გასაღები იმას ვჭკონდა და ჩემი გულის კარებს თავის სურვილზედ აღებდა — ხან საცაიმოდ და ხან სიტანჯველად.

ბევრჯერ გადავწყვიტე — ქ ღისთვის თავი დამენებებინა, დამეღვია ეს საშინელი — ერთის მხრით უზომო ბედნიერების მომნიჭებელი და მეორეს მხრით ჯოჯოხეთურად მტანჯავი — კავშირი, მაგრამ ჰირველივე ნაბიჯის გადადგმა ამ გზით ზედ შეასკდა ჩემს უილაჯობას: და ვინახე, რომ უძლური ვარ მავისსნა ეს საბედისწერო უღელი.

ასეთს მდგომარეობას ზედ ერთდა უხერხულადაა ჩვენი კავშირისა. ჩვენ არ შეგვეძლო ხშირ-ხშირად შეხვედრა და ათასში ერთხელ განსაკუთრებული კარემოება თუ შეგვიწყობდა ხელს. და, რაც უფრო ხანგრძლივი იყო

ხოლმე ჩვენი კათავთავება, მით უფრო ეჭვი მესრდებოდა, მეგონა, რომ ქალი განკუბ იკონებდა სხვა და სხვა მიზეზს ჩვენი შეუხვედრელობისათვის. ამავე დროს კი უმარწვილი კაცი მუდამ თან ახლდა. ის დამეები, რადესაც ვიცოდი, რომ ორივენი ერთად უნდა ყოფილიყვნენ სულს სტუმრად და ერთადვე უნდა დაბრუნებულიყვნენ, საზარელი დამეები იყო ჩემთვის... კარინდებულად, განუმებული ტანთ-გახედელი, მთელის საათობით ვებდე საწოლზედ და ვგრძნობდი, რომ ჩემს ტვინში გველივით რაღაც დასლიკინებს და ნესტარით მკებუნავს... გულზედ კი მაჯლაჯუნსავით რაღაც გამწოლია და მადრჩობს, მაგრამ ვერ-კი დავედრჩვივარ.

ალ. ელფთერიძე.

(დასასრული იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი სვ. ყიფიანი.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

== დ რ მ ე ბ ა ==

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. მომავალ 1910 წელს გაზეთი „დროება“ გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1909 წ. გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გამოცემას გარდა 1910 წლისაც გაზეთს ექნება **საქართველიან დამატება** დამატება გამოვა კვირაობით. გაზეთის ფასი: წლით, როგორც ქალაქში ისე ქალაქ-გარედ 8 მან. და 50 კ. ნახევარი წლით 4 მ. და 80 კ., ერთი თვით 80 კაპ. (1 მანეთის მაგიერ). საზღვარ გარედ 12 მამეთი.

ცალკე ნომერი ყველგან **ერთ შაურად**. == დამატებიანი ნომერი (კვირისა) შვიდ კაპეკად აღრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ **კედლის კალენდარი**, კვირეულის ფურცლებით ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგ. წიგნის ალაზიაში ი. ავალიშვილთან. ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში — ის. კვიცარიძესთან, ხონში — გიგლა მებუჯესთან; გორში — სევ. შველიძესთან; ქიათურაში — სოფრომ ტარუაშვილთან.

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყრველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევს 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ, газ. „Дроэба“.